# 41 ქართული ოცნება

## განვითარება ყველა რეგიონს



## ძვირფასო ლეჩხუმელებო!

მოგმართავთ იმ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, რომელიც აღებული გვაქვს თითოეული თქვენგანის, ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის წინაშე!
თქვენ კარგად იცით სამშობლოს სიყვარულის, მშვიდობისა და თავისუფლების ფასი. ეს არის ის ღირებულებები, რომელთა ერთგულება თითოეული ჩვენგანის ვალია და რომლებმაც უნდა გაგვაერთიანოს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო, ჩვენი მრავალათასიანი გუნდის სახელით აცხადებს, რომ მყარად დაიცავს ჩვენს ეროვნულ ინტერესებს და არავის მისცემს მძიმე წარსულში დაბრუნების შესაძლებლობას.
„განვითარება ყველა რეგიონს“ – ეს არის ჩვენი მიზანი, რომელიც თქვენი მხარდაჭერით და თქვენთან ერთად, აუცილებლად შესრულდება.
ჩვენ მიერ წარდგენილი ცაგერის მერობის კანდიდატისა და ცაგერის საკრებულოს წევრობის კანდიდატების მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია იმისათვის, რომ წარმატებით გაგრძელდეს მუნიციპალიტეტში დაწყებული პროექტები, გაგრძელდეს ლეჩხუმის განვითარება და გაუმჯობესდეს მოსახლეობის ცხოვრების პირობები.
ჩვენ გვაქვს კონკრეტული ხედვა და გეგმები, თუ როგორ უნდა განვითარდეს ლეჩხუმი და გვჯერა, რომ ჩვენი გუნდი თქვენგან კვლავაც მყარ მხარდაჭერას მიიღებს.
სამართლიან და თავისუფალ არჩევნებში ერთად უნდა ვიზეიმოთ ჩვენი საერთო გამარჯვება!

***„ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო***

# ცაგერის მუნიციპალიტეტი

## ეკონომიკა

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ეკონომიკის სისტემური რეფორმირება დაიწყო.** ჩვენი გუნდის მმართველობის პირობებში, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი, 2012 წელს არსებული 27,2 მილიარდიდან, 2020 წელს, პანდემიის ფონზე, 49,4 მილიარდ ლარს გაუთანაბრდა. ხელისუფლების გრძელვადიანი გეგმის მიხედვით, საშუალოვადიან პერიოდში, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპი, საშუალოდ, 5%-ის ფარგლებში იქნება. ამ ფონზე, აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებლის განახევრება იგეგმება, რაც 2030 წლისთვის 10.7%-მდე შემცირებას გულისხმობს.

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში, ბიზნესი გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან,** შესაბამისად, ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობა, 2012 წელს არსებული 42 მილიარდიდან 2020 წელს, გლობალური პანდემიის მიუხედავად, 109,5 მილიარდ ლარს გაუტოლდა. ჩვენი გუნდის ეკონომიკური პოლიტიკა მიზნად ისახავს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში უმუშევრობის დონე შემცირდება ერთნიშნა მაჩვენებლამდე.

### ადგილობრივი ბიუჯეტი

**გასული წლების განმავლობაში, მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელისუფლების მიერ ცაგერის მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების მოცულობა.** იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი – თუ 2013 წელს, ცაგერის ბიუჯეტის ხარჯების ნაწილი 4 მლნ 376 ათასი ლარი იყო, 2020 წლის მდგომარეობით, 12,5 მლნ ლარს შეადგენს. 2013 წელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა საკუთრი შემოსავლების სახით 3 მლნ 865 ათასი ლარი მიიღო, 2020 წლის მდგომარეობით, შემოსავლების მაჩვენებელი 13,9 მლნ ლარია.

### სოფლის მეურნეობა

**სოფლის მეურნეობის განვითარება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გაზრდა და სოფლად ადამიანების დასაქმება სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია.** „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, სოფლის მეურნეობის დაფინანსება, 2012 წელს არსებული 228 მილიონიდან 2020 წლისთვის 434 მლნ ლარამდე გაიზარდა, ხოლო სურსათის ექსპორტი – 511 მლნ დოლარიდან 942 მლნ დოლარამდე.

**ცაგერის მუნიციპალიტეტში,** 2018-2021 წლებში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამით **„ახალგაზრდა მეწარმე“** მხარდაჭერილია 2 პროექტი (ინვესტიცია 90 788 ლარი, თანამონაწილეობა 36 315 ლარი). პროგრამით **„დანერგე მომავალი“,** 2015-2021 წლებში, 12 ჰექტარზე განხორციელდა 3 პროექტი (ჯამურად 143 550 ლარი). **აგროდაზღვევის პროგრამით**, 2014-2021 წლებში, ჯამურად, 48 ჰექტარი დაიზღვა (მოსავლის ღირებულება 139 528 ლარი), რითაც 146-მა ბენეფიციარმა ისარგებლა. ფერმერებს სტიქიით მიყენებული ზარალი 3 734 ლარით აუნაზღაურდათ. **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის** პროგრამით მოქმედებს 22 კოოპერატივი (160 მეპაიე, მობილიზებული კაპიტალი 350 900 ლარი). **შეღავათიანი აგროკრედიტით**, 2013-2021 წლებში, ჯამურად 2 586 144 ლარის პროექტები განხორციელდა (თანამონაწილეობა 245 924 ლარი), რითაც 22-მა უნიკალურმა ბენეფიციარმა ისარგებლა. **სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მოქნილობის თანადაფინანსების პროგრამით** დაფინანსდა 6 პროექტი (ინვესტიცია 371 550 ლარი, თანადაფინანსება 145 380 ლარი). 2020 წლიდან დაიწყო **აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა** და დღემდე განხორციელდა 1 პროექტი (ინვესტიცია 99 919 ლარი, თანადაფინანსება 49 960 ლარი). 2013 წლიდან დღემდე, ქვეყნის მასშტაბით, სახელმწიფოს მხარდაჭერით, უსასყიდლოდ ხორციელდება სხვადასხვა **ვეტერინარული ღონისძიება**: ვაქცინაცია, ცხოველთა დაავადებებზე ლაბორატორიული გამოკვლევები, ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია და სხვა, რაც განაპირობებს მეცხოველეობის განვითარებასა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდას. სახელმწიფომ **აზიური ფაროსანას** საწინააღმდეგოდ, ცაგერის **მუნიციპალიტეტში,** ცივი შესხურებით წლიურად საშუალოდ დაამუშავა 391 ჰექტარი, თერმული ნისლის გამოყენებით – წელიწადში 19 ჰექტრი. შედეგად მისი რაოდენობა საგრძნობლად შემცირებულია. დღეს აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის საქართველოს გამოცდილებას საერთაშორისო ექსპერტები სამაგალითოდ აღიარებენ.

- **მომდევნო წლებში გაგრძელდება სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი პროგრამები, რაც რამდენიმე ასეული ახალი სამუშაო ადგილის შექმნასა და სოფლად დასაქმებული ადამიანების შემოსავლების ზრდას უზრუნველყოფს;**
- **ქვეყნის მასშტაბით 2024 წლამდე განხორციელდება 1.2 მილიონი ჰექტარი მიწის სისტემური რეგისტრაცია, რითაც პრაქტიკულად მიწის რეგისტრაციის პრობლემა სრულად აღმოიფხვრება.**

### მეწარმეობის განვითარება

**მეწარმეობის განვითარება და, ზოგადად, სამეწარმეო სულისკვეთების გაძლიერება ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ამ თვალსაზრისით, მოქმედებს რამდენიმე სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია მეწარმეობის ხელშეწყობაზე.**

სახელმწიფო პროგრამით **„აწარმოე საქართველოში“,** ცაგერში დაფინანსდა 1 საწარმო (ჯამურად 2 059 956 ლარი, დასაქმებულია 20 ადამიანი). **მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამით,** „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით, 1 425 781 ლარის გრანტი გაიცა. განხორციელდა 1 853 427 ლარის ინვესტიცია. ჯამურად დაფინანსდა 244 პროექტი (არსებული ბიზნესის გაფართოების მიზნით – 73, ახალი „სტარტაპის“ მხარდასაჭერად – 171 პროექტი).

- **მომავალში გაგრძელდება და გაფართოვდება მეწარმეობის მხარდამჭერი პროექტების თუ სახელმწიფო პროგრამების განხორციელება;**
- **ხელი შეეწყობა ინოვაციური ეკოსისტემის განვითარებას;**
- **წარმოების გასაძლიერებლად დაიხვეწება ფინანსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების სახელმწიფო პროგრამები და გაიზრდება მათი ეფექტიანობა.**

### ენერგეტიკა

**საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის უმთავრესი მიზანია ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერება და ენერგოდამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება. ჩვენი გუნდის ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი ამოცანა იმპორტირებულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების ეტაპობრივ შემცირებასა და ადგილობრივი რესურსების ეფექტურ ათვისებას უკავშირდება.**

2013-2021 წლებში, **რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის რეგიონში აშენდა** 4 ჰიდროელექტროსადგური (რაჭაჰესი, კასლეთიჰესი2, ხეორიჰესი, ჯონოულიჰესი 1), რომელთა ჯამური დადგმული სიმძლავრე 21,5 მგვტ-ია.

**მშენებლობის ან ლიცენზირების ეტაპზეა 12 ჰიდროელექტროსადგური:**

- რაჩხა ჰესი – დადგმ.სიმძლავრე 3,3 მგვტ, 13,6 მლნ აშშ დოლარი;
- ბერბალი ჰესი – დადგმ.სიმძლავრე 0,9 მგვტ, 1 მლნ აშშ დოლარი;
- ლუხუნი ჰესი 2 – დადგმ.სიმძლავრე 12 მგვტ, 23 მლნ აშშ დოლარი;
- ქიორა ჰესი – დადგმ.სიმძლავრე 14,1 მგვტ, 14 მლნ აშშ დოლარი;
- მაჟიეთი ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 12,2 მგვტ, 13,6 მლნ აშშ დოლარი;
- ღები ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 14,3 მგვტ, 14,3 მლნ აშშ დოლარი;
- ღერე ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 9,4 მგვტ, 12,9 მლნ აშშ დოლარი;
- საკაურა ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 11,5 მგვტ, 17 მლნ აშშ დოლარი;
- ლასკადურა ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 11,5 მგვტ, 17 მლნ აშშ დოლარი;
- ბოყო ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 0,5 მგვტ, 1,5 მლნ აშშ დოლარი;
- სადმელი ჰესი 2 – დადგმ. სიმძლავრე 4,4 მგვტ, 6 მლნ აშშ დოლარი;
- ჩორდულა ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 1,97 მგვტ, 3,54 მლნ აშშ დოლარი.

### ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ეტაპზეა შემდეგი ჰიდროელექტროსადგურები:

- სორგითი ჰესი 1 – დადგმ. სიმძლავრე 15,2 მგვტ, 21,07 მლნ აშშ დოლარი;
- სორგითი ჰესი 2 – დადგმ.სიმძლავრე 16 მგვტ, 18,781 მლნ აშშ დოლარი;
- ჯონოული 2 ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 32 მგვტ, 50 მლნ აშშ დოლარი;
- ქვედი ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 1,7 მგვტ, 1,3 მლნ აშშ დოლარი;
- ლაჯანური ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 16 მგვტ, 26 მლნ აშშ დოლარი;
- ღარულა ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 1,5 მგვტ, 3,7 მლნ აშშ დოლარი;
- ალპანა ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 55,3 მგვტ, 70 მლნ აშშ დოლარი;
- ძუღური ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 1,8 მგვტ, 3,1 მლნ აშშ დოლარი;
- ნოწარული ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 8,38 მგვტ, 9,9 მლნ აშშ დოლარი;
- დუსკური ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 1 მლნ აშშ დოლარი.

2013-2017 წლებში, ცაგერის მუნიციპალიტეტში, 2 105 აბონენტს დაუმონტაჟდა **ელექტროენერგიის ინდივიდუალური მრიცხველი**, რითაც მოსახლეობის ელექტროენერგიით უზ-



რუნველყოფის საკითხი სრულად მოწესრიგდა.

## ტურიზმი

**„ქართული ოცნების" გონივრული პოლიტიკის შედეგად, ტურიზმის სფეროს განვითარების თვალსაზრისით, შთამბეჭდავი შედეგები იქნა მიღწეული. 2012 წლის შემდეგ, გაორმაგდა საერთაშორისო ვიზიტორთა და მოგზაურთა რაოდენობა და 4,7 მილიონიდან, 2019 წელს (პანდემიამდე), 9,4 მილიონს გაუთანაბრდა.**

**ტურიზმის განვითარების მიზნით,** განხორციელდა რეგიონის ტურისტული რესურსების ინვენტარიზაცია, მიმდინარეობს ახალი ტურისტული მარშრუტების კვლევა. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ეგიდით, პროექტით „ღვინის გზა" განხორციელდა ღვინის ტურიზმში ჩართული ობიექტების იდენტიფიცირება და მათთვის საგზაო მიმართულების მანიშნებლების დამზადება-მონტაჟი. 2013-2020 წლებში **ტურისტული ინფრასტრუქტურის აღდგენა-კეთილმოწყობის მიზნით,** განხორციელდა რამდენიმე პროექტი: ცაგერში სურათების გალერეის რეაბილიტაცია; ცაგერის ისტორიული მუზეუმის რეაბილიტაცია; სოფელ დეხვირის ღია მუზეუმის გზის კეთილმოწყობა; გვესოს ციხესთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია; ცაგერის მწვანე თეატრის რეაბილიტაცია.

2020-2021 წლებისთვის, **ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ტურისტული პოტენციალის ათვისების მიზნით,** განხორციელდა ახალი ობიექტების მშენებლობა/რეაბილიტაცია:დასრულდა ქ. ცაგერის, სოფ. ჩხუტელის, საირმეს, ჩქუმის, ოფიტარას, ღვირიშისა და ოყურეშის ტურისტული ობიექტების კეთილმოწყობა, ხვამლის მთის ტურისტული გზის რეაბილიტაცია, ქ. ცაგერში ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის მშენებლობა, სოფ. საირმეში ბუნებრივ სვეტებიან ძეგლთან მისასვლელი ბილიკების მოწყობა, მუნიციპალიტეტის შემოსასვლელების კეთილმოწყობა, მწვანე თეატრისა და ღვირიშის ჩანჩქერზე მისასვლელი ბილიკებისა და ტერიტორიების კეთილმოწყობა. დაგეგმილია სოფ. ისუნდერის ციხესა და ტურისტულ სანახებთან მისასვლელი ბილიკების მოწყობა, მიმდინარეობს სოფ. გვესოს ციხესთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია. სამთავრობო პროგრამის „განახლებული რეგიონები" ფარგლებში, იგეგმება ქ. ცაგერის რუსთაველისა და კოსტავას ქუჩების რეაბილიტაცია და საზოგადოებრივი სივრცეების კეთილმოწყობა.

- **მომავალში „ქართული ოცნების" გუნდის გეგმის თანახმად, საშუალოვადიან პერიოდში, 2025 წლისთვის ქვეყანას 10 მილიონი მოგზაური ეწვევა, ხოლო ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 4.2 მილიარდ დოლარს გაუთანაბრდება;**
- **2030 წლისთვის საქართველო 13 მილიონ მოგზაურს უმასპინძლებს, ხოლო შემოსავლები 6,5 მილიარდ დოლარს მიაღწევს.**

## გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა

**„ქართული ოცნების" ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარების თვალსაზრისით არაერთი რეფორმა გატარდა.** ქვეყნის მასშტაბით, თუ 2012 წელს დაცული ტერიტორიები 519 ათასი ჰექტარი იყო, დღეისათვის 798 ათასი ჰექტარია. 2012-2020 წლებში, შეიქმნა 26 ახალი და გაფართოვდა 3 დაცული ტერიტორია.

2020 წელს ცაგერის მუნიციპალიტეტში ჩატარდა **ტყის ინვენტარიზაცია,** ამ ეტაპზე მიმდინარეობს ტყის მართვის გეგმის მომზადება. 2013-2020 წლებში, ადგილობრივი მოსახლეობისთვის ინდივიდუალური საყოფაცხოვრებო სარგებლობის მიზნით, გაცემულია 60 ათასი კუბური მეტრი **მერქნული რესურსი.** 2019-2021 წლებში, მოსახლეობისთვის მერქნულ რესურსზე ხელმისაწვდომობის გამარტივების მიზნით, მოეწყო **საქმიანი ეზო.** რეგულარულად ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული **ობიექტების ინსპექტირება** გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის შესწავლის და გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრის მიზნით.

გარემოს ეროვნული სააგენტო მუდმივად, უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს **ჰიდრომეტეოროლოგიურ დაკვირვებებს,** ამზადებს და ავრცელებს ამინდის პროგნოზებსა და გაფრთხილებებს მოსალოდნელი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შესახებ.

გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის მიერ ყოველწლიურად ხორციელდება სტიქიური გეოლოგიური პროცესების მონიტორინგი, ფორსმაჟორულ სიტუაციაში მდგომარეობის ოპერატიული შეფასება და რეკომენდაციების შემუშავება პრევენციული ღონისძიებების გატარების მიზნით.

- **სამომავლოდ გაფართოვდება ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგისა და წყლის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემები;**
- **გაგრძელდება სტიქიური გეოლოგიური პროცესების ყოველწლიური მონიტორინგი, შეფასდება გეოლოგიური საფრთხის ქვეშ არსებული დასახლებები და გაიცემა რეკომენდაციები გასატარებელი დამცავი ღონისძიებების შესახებ;**
- **გარემოსდაცვითი სტანდარტები თვისებრივად დაუახლოვდება ევროპულ მოთხოვნებს;**
- **ხელისუფლების გეგმის თანახმად, 2030 წლისთვის დაცული ტერიტორიების ფართობი 1 მილიონ ჰექტარს გაუთანაბრდება.**

## ინფრასტრუქტურა და საზოგადოებრივი მომსახურება

**2022-2023 წლებში, ცაგერის მუნიციპალიტეტში, ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურების გაუმჯობესება-განვითარებაზე განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება.**

2013-2020 წლებში, ცაგერში, **ადგილობრივი მნიშვნელობის გზების** რეაბილიტაცია-მშენებლობაზე, ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტიდან ჯამურად, 11 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯა, აშენდა 3 და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 4 ხიდს. **სტიქიით** დაზიანებული ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციოდ სახელმწიფომ 5,9 მლნ ლარის კომპენსაცია გამოყო.

ხელისუფლების გეგმის თანახმად, მომდევნო (2021-2025) წლებში ცაგერის მუნიციპალიტეტის **ინტერნეტით უზრუნველყოფის** მიზნით, იგეგმება მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი ქსელის მშენებლობა. შედეგად, მუნიციპალიტეტის 13 დასახლებულ პუნქტში მცხოვრებ 2 314 ოჯახს მაღალსიჩქარიან ინტერნეტზე წვდომა ექნება.

2014-2020 წლებში, ცაგერის **წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო ქსელის** განვითარებაზე, მუნიციპალური და ცენტრალური ბიუჯეტიდან, ჯამურად 1,5 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა.

### 2021-2022 წლებისთვის ცაგერის მუნიციპალიტეტში დაგეგმილია ან უკვე განხორციელების ფაზაშია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

- ადგილობრივი მნიშვნელობის ქ. ცაგერისა და სოფელ გვესოს დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია – 1 202 950 ლ;
- სოფ. ჭალისთავის, წიფერჩის, ბარდნალის, ლარჩვალის და ქვ.ცაგერის ნაწილის წყალმომარაგების სისტემების მოწყობა – 1 225 552 ლ;
- სოფ. სპათაგორში სოფლის ცენტრის, სკოლისა და ლეშკედის მიმართულებით საავტომობილო გზის რეაბილიტაცია – 287 483 ლ;
- სოფ. ორბელში, ზედა ორბელში „ჩეროს" უბანში და „სვანიძეების" უბანში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია – 395 249 ლ;
- სოფ. ჩხუტელში ცენტრალური მოასფალტებული გზიდან საჯარო სკოლის მიმართულებით საავტომობილო გზის რეაბილიტაცია – 255 173 ლ;
- სოფ. ლუხვანოში გზის რეაბილიტაცია – 216 661 ლ;
- სოფ. ზემო აღვის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია – 138 440 ლ;
- სოფ. ჩხუტელში ცენტრალური მოასფალტებული საავტომობილო გზიდან კვირკაშვილების უბნის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია – 237 339 ლ;
- სოფ. ორბელის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია – 138 326 ლ;
- ქ. ცაგერი, აღმაშენებლის ქ. №75 და №77 ეზოების ასფალტო/ბეტონის საფარით მოწყობა – 160 734 ლ;
- თაბორის მინისტადიონი – 74 378 ლ;
- სოფ. ქვ. ცაგერში „ლაზარიანების" უბანში გზის ასფალტო/ბეტონის საფარით მოწყობა – 100 000 ლ;
- სოფ.გაგულეჩის ორ უბანში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია – 161 859 ლ;
- ლასურიაში-მახაშის გზის ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობა – 551,658 ლ;



ცაგერისა და სოფელ გვესოს დამაკავშირებელი ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია

# გიორგი ნემსაძე: „ჩემი მიზანი ლეჩხუმის წინსვლა და წარმატებაა!“

**გიორგი ნემსაძეს არც ცაგერში, არც ლეჩხუმში და ზოგადად, არც საქართველოში განსაკუთრებული წარდგენა არ სჭირდება. ცნობილ ფეხბურთელს წარმატებული სპორტული კარიერა ჰქონდა, მცირე დროით „დინამოს“ დირექტორიც იყო და ნაკრების მწვრთნელიც.**
**არც პოლიტიკაა მისთვის „უცხო ხილი“ – თბილისის საკრებულოში ნაძალადევის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი გახლდათ. დღეს ბატონი გიორგი ფესვებს უბრუნდება და ცაგერის მერობის კანდიდატია. მისი აზრით, მთავარი უპირატესობა ისაა, რომ ზურგს მმართველი გუნდი – „ქართული ოცნება“ უმაგრებს. ამბობს, რომ ცაგერთან დაკავშრებით არაერთი გეგმა აქვს. მისი მთავარი მიზანი, მუნიციპალიტეტის წინსვლა და ადგილობრივებთან მეგობრობა, მათი კეთილდღეობისთვის ზრუნვაა.**
**კანდიდატის მთავარი გულშემატკივრები მისი ოჯახის წევრები არიან. ამბობს, რომ ნამდვილი ქართული ოჯახი აქვს, სადაც ქართულ ტრადიციებს პატივს სცემენ. ჰყავს მეუღლე, რუსუდან ჩირგაძე-ნემსაძე და სამი შვილი – ვაჟა, თორნიკე და სოფო. 49 წლის ასაკში, ოთხი შვილიშვილის – გიორგის, ნიცას, ანდრიასა და ელენეს ბაბუაცაა. თავისუფალ დროს ოჯახთან ან მეგობრებთან ერთად ატარებს. მისი ოჯახის მთავარი ტრადიცია საერო თუ საეკლესიო დღესასწაულების ერთად, ოჯახურ გარემოში აღნიშვნაა.**
**როცა ოჯახის წევრებმა გაიგეს, რომ საარჩევნო მარათონში ჩართვას და ცაგერის მერობისთვის ბრძოლას აპირებდა, მხარი დაუჭირეს. იციან, რომ კეთილ საქმეს შეეჭიდა.**
**ცაგერის მერობის კანდიდატი „ქართული ოცნებიდან“ გიორგი ნემსაძე გვიამბობს, რატომ დაინტერესდა ბავშვობაში სპორტით, რა გზა გაიარა კანდიდატობამდე, რატომ გადაწყვიტა ცაგერის მერობისთვის ბრძოლა და ზოგადად, რა კავშირი აქვს ლეჩხუმთან?**



დაიბადა 1972 წლის 10 მაისს, თბილისში. დაამთავრა თბილისის №14 საშუალო სკოლა. 1995 წელს – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის, შემდგომ კი იურიდიული ფაკულტეტი.

1988-დან თამაშობდა სხვადასხვა კლუბში; 1992-2004 წლებში, ჩატარებული აქვს 69 მატჩი.

2011 წელს იყო თბილისის „დინამოს“ სპორტული დირექტორი, მოგვიანებით კი – მწვრთნელი, ასევე საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი. გახლავთ თურქეთის ბრინჯაოსა და ვერცხლის მედლების მფლობელი;

არის საქართველოს ოთხგზის ჩემპიონი.

2006 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე გახდა საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი, მოგვიანებით – ფრაქცია „ქართული ოცნება თბილისის“ თავმჯდომარე.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

**– ბატონო გიორგი, თბილისში დაბადებულ-გაზრდილს ცაგერთან რა კავშირი გაქვთ?**

– ბავშვობიდანვე მესმოდა, ჩემი წინაპრები რა დიდი სიყვარულით საუბრობდნენ ლეჩხუმზე, სოფელ მექვენაზე, რიონის ხეობაზე – რეგიონთან ძალიან ბევრი ტკბილი მოგონება აკავშირებდათ. ამ ფონზე, ამ კუთხესთან და ჩემ ფესვებთან ჩემი სიყვარულიც გასაკვირი არ უნდა იყოს. თბილისში 1972 წლის 10 მაისს დავიბადე ვაჟა ნემსაძისა და მარიამ ბეჟანიშვილის ოჯახში. დედა მუსიკის პედაგოგია. მამა კი თავის დროზე თბილისის „დინამოს“ დუბლებში თამაშობდა, თუმცა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო საფეხბურთო კარიერა 22 წლის ასაკში შეწყვიტა. ორი დედმამიშვილი მყავს, ნინო და ირაკლი ნემსაძეები. დიდი და თბილი ოჯახი გვაქვს, სადაც ვისწავლე ადამიანისა და სამშობლოს სიყვარული. ძალიან ლაღი ბავშვობა გვქონდა. მე და ჩემი და-ძმა, ყოველთვის ერთად ვიყავით, ვერთობოდით და ბევრ გასართობსაც ვპოულობდით. ჩემს აღზრდაში ოჯახის ყველა წევრი მონაწილეობდა, მაგრამ დედის როლი განუსაზღვრელია ჩემს პიროვნებად ჩამოყალიბებაში. დედა ყოველთვის ცდილობდა, საუკეთესო თვისებები გაეღვივებინა ჩემში, ამასთანავე, რაც კარგი გამაჩნდა, არ მიკარგავდა, რის გამოც მეც ვცდილობდი უკეთესი ვყოფილიყავი, რათა დედის ნდობა გამემართლებინა.

**– მაგრამ სპორტით, ალბათ, მამის გავლენით დაინტერესდით.**

– დიახ, აქ უკვე მამის დიდი როლია. მამის ფაქტორი და ფეხბურთისადმი მისი სიყვარული გახდა სპორტის ამ სახეობისადმი ჩემი ლტოლვის მიზეზი. ფეხბურთით ბავშვობიდანვე დავინტერესდი. სკოლის დამთავრების შემდეგ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკისა და იურიდიული ფაკულტეტები დავამთავრე, მაგრამ მთელი ცხოვრება ფეხბურთს მივუძღვენი და საკმაოდ წარმატებული სპორტული კარიერაც მქონდა: ვთამაშობდი ლანჩხუთის „გურიაში“, თბილისის „შევარდენში“, თბილისის „დინამოში“, გერმანიის „ჰამბურგში“, თურქეთის „ტრაბზონსპორში“, შვეიცარიის „გრასჰოპერში“. 1992-2004 წლებში საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ჩატარებული მაქვს 69 მატჩი. 1997 წლის 24 სექტემბერს პირველად მოირგო ქვეყნის მთავარი საფეხბურთო გუნდის კაპიტნის სამკლაური. ვიყავი საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების ყო-








ფილი ნახევარმცველი. ვარ თურქეთის ბრინჯაოსა და ვერცხლის მედლის მფლობელი, საქართველოს ოთხგზის ჩემპიონი.

**– გარკვეული პერიოდი „დინამოს“ დირექტორი იყავით. აქაც წარმატებით ასრულებდით მოვალეობას?**

– „დინამოს“ დირექტორი მცირე ხნით ვიყავი, მაგრამ სწორედ ამ პერიოდში მოვხვდით „უეფას“ თასის ქვეჯგუფში. მიმაჩნია, რომ ყველაზე მეტი მაინც მაშინ გავაკეთე, როცა გუნდის მოთამაშე და ნაკრების კაპიტანი ვიყავი.

**– თქვენგან განსაკუთრებით საინტერესოა შეფასება, დღეს ქართულ სპორტს რამდენად აქცევს ხელისუფლება სათანადო ყურადღებას?**

– დღეს ქართულ სპორტს ხელისუფლებისგან ნამდვილად აქვს ხელშეწყობა. ამას მთელი საქართველოს მასშტაბით განხორციელებული პროექტებიც მოწმობს, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალიტეტებში არაერთი სტადიონი, სპორტული დარბაზი, ხელოვნურსაფარიანი მოედანი მოეწყო. კარგ სპორტსმენებს მოტივაციაც აქვთ, რაც ძალიან მახარებს. სხვადასხვა სპორტული პროექტის განხორციელება და ზოგადად, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, ჩემთვისაც პრიორიტეტი იქნება.

**– ფეხბურთი გუნდური სპორტია. გუნდური თამაშის პრინციპი პოლიტიკაშიც გამოგადგებათ?**

– ვფიქრობ, გუნდური თამაში და ზოგადად, გუნდურობა ყველა საქმეში ძალიან კარგია. კარგად შეკრული გუნდი თუ აღმოჩნდება შენს ირგვლივ, ბედნიერებაა. ყველა საქმეს ერთნაირად მაღალი ხარისხით თავად ვერ გააკეთებ, ამიტომ კარგ გუნდზე გადანაწილებული პასუხისმგებლობა შენთვის და გუნდის წევრებისთვის თანაბრად სასარგებლოა. ჩემი აზრით, ასეა ფეხბურთშიც, პოლიტიკაშიც და ცხოვრებაშიც.

**– პოლიტიკა თქვენთვის „უცხო ხილი“ არაა. თავის დროზე თბილისის საკრებულოს წევრი იყავით. რატომ გადაწყვიტეთ პოლიტიკური აქტიურობა და რამდენად ეფექტური იყო ამ სფეროში თქვენი საქმიანობა?**

– ცხოვრების რაღაც ეტაპზე, მეც დავინახე გარკვეულწილად ჩემი ადგილი პოლიტიკაში და სხვა ადამიანებმაც. ისეთებმა, რომელთაც საზოგადოების თვალში ავტორიტეტი აქვთ და ეს დიდი პატივია ჩემთვის. ამიტომ, ჩავთვალე, რომ არ შევცდებოდი, თუ პოლიტიკაში წავიდოდი. თბილისის საკრებულოში ჩემი უბნის – ნაძალადევის წარმომადგენელი გახლდით. იმ ადამიანების უფლებებს ვიცავდი, რომელთა ნდობითაც მივედი საკრებულოში. საერთო საქმე იქნებოდა თუ კონკრეტული ადამიანების პრობლემა, თავს არასდროს ვარიდებდი. ეს ჩემი მოვალეობა იყო და მორალური პრინციპიც.

**– თქვენი ადგილი „ქართულ ოცნებაში“ რატომ დაინახეთ და ამ გუნდის წევრი რატომ ხართ?**

– 2012 წელს შევუერთდი პარტია „ქართულ ოცნებას“ და საკრებულოში ფრაქცია „ქართული ოცნება თბილისის“ თავმჯდომარე გავხდი. ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ პოლიტიკური გუნდის მოსვლის შემდეგ მის მიმართ ნდობით განვეწყვე. ამ გუნდის წევრები ერთმანეთის მიმართ ანგარიშის გაწევით გამოირჩევიან, აქ არიან ადამიანები, რომლებსაც შესწევთ ძალა, მართონ ქვეყანა და განავითარონ საქართველო.

**– ამ გუნდმა, თქვენი აზრით, რატომ გამოგიცხადათ ნდობა და ცაგერის მერობის კანდიდატად დაგასახელათ?**

– „ქართული ოცნების“ ნდობა დიდი პატივია ჩემთვის. ალბათ, დაინახეს ჩემში ის პრინციპები, რომლებზედაც აღვიზარდე, რითაც ვცხოვრობდი და ვცხოვრობ. მათ, გარკვეულწილად, ადამიანების ბედი მანდეს, როცა მერობის კანდიდატი გავხდი. ახლა უფრო მნიშვნელოვანია, ეს ნდობა გავამართლო. მერობა, პირველპირობა, გარკვეულწილად არის უდიდესი პასუხისმგებლობა და ეს თავიდანვე მაქვს გათავისებული. მაგრამ იმ კუთხის – ლეჩხუმის მერობა გადავწყვიტე, საიდანაც ჩემი ფესვებია და რომელიც განსაკუთრებით მიყვარს. აქ ცხოვრობს მაღალი ინტელექტის, მშრომელი, კეთილშობილი ადამიანები, რომლებისთვისაც ჩემი წილი სიკეთე მინდა გავაკეთო, მათი დიდი მეგობარი მინდა გავხდე. მეგობრად მიმიღონ – ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ჩემთვის.

**– ცაგერის მოსახლეობისთვის კი ისაა მნიშვნელოვანი, რამდენად იცნობთ მათ საჭიროებებს და რა გეგმები გაქვთ მუნიციპალიტეტთან დაკავშირებით?**

– დავიწყებ იმით, რაც უმთავრესია – ჩვენი გუნდისთვის რეგიონების განვითარება არის უმთავრესი ამოცანა. ეს ყოველთვის პრიორიტეტული იყო, რაც აისახა იმ მსხვილი განხორციელებული პროექტებით, რომლებიც უმნიშვნელოვანესია ჩვენი კუთხისთვის, შემდეგ ოთხ წელს კი განსაკუთრებულ ორიენტირებას გეგმავს რეგიონებზე საქართველოს მთავრობა – „განვითარება ყველა რეგიონს“ – ესაა ჩვენი გუნდის სლოგანი. რა თქმა უნდა ვიცი, რომ ცაგერი არ არის გამონაკლისი და აქ მოსახლეობას საჭიროება თუ გამოწვევა საკმაოდ აქვს. საგზაო ინფრასტრუქტურა, წყალსადენების განახლება და მოწყობა, გაზიფიცირება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მათთვის. ჩემი გეგმა ცაგერის წინსვლა და წარმატებაა. იმედი მაქვს მუნიციპალიტეტში, ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერით, ბევრი მნიშვნელოვანი, კარგი საქმე გაკეთდება.

**– რა იქნება თქვენთვის პრიორიტეტული მიმართულებები და ზოგადად, ცაგერს განვითარების რა პერსპექტივა აქვს?**

– ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, განსაკუთრებით მევენახეობა – ეს ის დარგებია, რომელთა წინსვლა განავითარებს ცაგერს. ცაგერი და მთლიანად ლეჩხუმი, ულამაზესი კუთხეა, განთქმულია თავისი ღირსშესანიშნაობებით. მხოლოდ ლეგენდარული ხვამლის მთისა და მსოფლიო მართლმადიდებლობის უდიდესი წმინდანის – მაქსიმე აღმსარებლის საფლავის დასახელებაც კი საკმარისია იმისთვის, რამდენად მიმზიდველია ეს უმშვენიერესი კუთხე. სახელგანთქმული ყურძნის ჯიშები ხარობს ლეჩხუმში -„უსახელოური“, „ცოლიკოური“, „ოჯალეში“, რითაც უნიკალური ღვინოები მზადდება. არაჩვეულებრივი ხალხია აქ. დღეს, როცა მათთან ყოველდღიური ურთიერთობა მაქვს, კიდევ უფრო ვამაყობ, რომ ამ კუთხის შვილი ვარ, ამ ადამიანების გენეტიკა მაქვს, აქ არის ბედნიერების შეგრძნება.

**– ბატონო გიორგი, რა უპირატესობა გაქვთ კონკურენტებთან შედარებით, რატომ უნდა დაგიჭირო ცაგერის მოსახლეობამ მხარი და გამარჯვების იმედი გაქვთ?**

– ჩემი უპირატესობაა, ვარ სახელისუფლებო გუნდის კანდიდატი, ძალიან ძლიერი და ადამიანებზე ორიენტირებული გუნდის წევრი. მათი მხარდაჭერა მექნება და ეს მცირე ძალა არაა მმართველისათვის. გარდა ამისა, რითაც ცხოვრებამ გამანებივრა ისაა, რომ ბევრი კარგი მეგობარი მყავს, ბევრი გულშემატკივარი. ჩემს პირად ადამიანურ რესურსსაც გამოვიყენებ მშობლიური კუთხის საკეთილდღეოდ. მჯერა, ცაგერის მოსახლეობა მხარს დამიჭერს, 2 ოქტომბერს, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში გავიმარჯვებ და ცაგერის განვითარებაში მნიშვნელოვან წვლილს შევიტან.



# ჯანმრთელობის დაცვა

**„ქართული ოცნებისთვის“ უმთავრესი ღირებულება არის ადამიანი, ხოლო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი პრინციპი – ადამიანზე, მის ღირსებაზე, სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ხარისხიანი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, სოციალური სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შენარჩუნება და შემდგომი განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია.**

2012 წლის შემდეგ უპრეცედენტოდ, 4,5-ჯერ გაიზარდა ჯანდაცვის დაფინანსება.

2013 წელს **საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის** ამოქმედებით, „ქართულმა ოცნებამ“ საფუძველი ჩაუყარა ჯანდაცვის ხარისხიან სერვისებზე უნივერსალურ ხელმისაწვდომობას. 2017 წლიდან განისაზღვრა ბენეფიციარების შემოსავლების მიხედვით დიფერენციაციის ახალი კრიტერიუმები. შედეგად, 40%-დან 99.9%-მდე გაიზარდა მოსახლეობის სერვისებით მოცვა, დაფინანსდა 8,6 მლნ-ზე მეტი შემთხვევა (2,8 მლნ ბენეფიციარი), რაზეც 4,6 მლრდ ლარზე მეტი გამოიყო. 2013-2020 წლებში, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, **ცაგერის მუნიციპალიტეტზე,** გამოყოფილია 17 192 098 ლარი, დაფინანსდა 24 884 შემთხვევა, მათ შორის: **გეგმური ამბულატორიული** (341 056,8 ლარით 30 005 ბენეფიციარი), **გადაუდებელი ამბულატორიული** (980 182 ლარით 12 635 შემთხვევა), **გადაუდებელი სტაციონარული** (11 563 606 ლარით 7 437 შემთხვევა), **გეგმური ქირურგიული** (2 584 962 ლარით 2 244 შემთხვევა), **მშობიარობა და საკეისრო კვეთა** (477 385 ლარით 785 შემთხვევა) და **ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია** (710 159 ლარით 1 334 შემთხვევა). გაიზარდა ონკოლოგიური პაციენტების ქიმიოთერაპია/სხივური თერაპიის კომპონენტში არსებული ლიმიტი 8 000 ლარის ოდენობით.

**ქრონიკული დაავადების მქონე მოწყვლადი ჯგუფებისთვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის პროგრამა** ამოქმედდა სოციალურად დაუცველი პირების (სარეიტინგო ქულა 100 ათასამდე), საპენსიო ასაკის მოქალაქეებისა და შშმ ბავშვებისთვის, ვეტერანებისა და გამყოფი ხაზის სოფლების მოსახლეობისთვის. 2017-2021 წლებში (ივლისის მდგომ.), პროგრამით, **ცაგერის მუნიციპალიტეტში** დაფინანსდა 3 043 ბენეფიციარი (688 003 ლარი). 2012 წლის შემდეგ, 3,4-ჯერ – 29,0 მილიონი ლარიდან 100,7 მილიონ ლარამდე გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან **საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსება,** მათ შორის, უპრეცედენტოდ, 7-ჯერ გაიზარდა **იმუნიზაციის პროგრამის ბიუჯეტი** (24.1 მლნ ლარი შეადგინა). სახელმწიფო უზრუნველყოფს 13 დაავადების პრევენციას, წარმატებით დაინერგა 5 ახალი ვაქცინა. **ცაგერის მუნიციპალიტეტში** იმუნიზაციით მიზნობრივი ჯგუფის მოცვის მაჩვენებელი 2020 წელს 100% იყო. **ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამით** განხორციელებული ღონისძიებების შედეგად,. უკანასკნელ წლებში შემცირდა ტუბერკულოზის გავრცელება – 2013 წლის შემდეგ, **ცაგერში,** სტაციონარული მკურნალობით 59-მა (229 900 ლარი), ამბულატორიული მომსახურებით – 626-მა პაციენტმა (64 993 ლარი) ისარგებლა. **დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სფეროში** ხელისუფლების მხრიდან გატარებული თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად, 2017 წელს დაფიქსირდა დედათა სიკვდილობის ყველაზე დაბალი მაჩვენებლი, წინა წლებთან შედარებით (13.1/100 000 ცოცხალშობილზე). 2018 წლიდან 8-მდე გაიზარდა ვიზიტების რაოდენობა ორსულთათვის. 2014 წლიდან ყველა ორსული უზრუნველყოფილია ფოლიუმის მჟავითა და რკინის პრეპარატით. 2013-2020 წლებში, **ცაგერის მუნიციპალიტეტში** ანტენატალური სერვისი მიიღო 1 247-მა (დაფინანსება 67 006 ლ), მედიკამენტები – 309 ორსულმა.

2015 წლიდან საქართველოში, მსოფლიოში პირველად, დაიწყო **C ჰეპატიტის ელიმინაციის (აღმოფხვრის) პროგრამა** (21,7 მლნ ლარი). პროგრამა მოიცავს საქართველოს მოქალაქეებისათვის უფასო სკრინინგს, დაავადების დიაგნოსტიკასა და კომპანია „გილეადის“ დაფინანსებით C ჰეპატიტით დაავადებული პაციენტების უფასო მკურნალობას უახლესი თაობის ძვირადღირებული მედიკამენტებით. პროგრამის დაწყებიდან 2021 წლის 1 მაისამდე, გამოკვლეულია 2,3 მლნ ბენეფიციარი, მკურნალობაში ჩაერთო 74 ათასზე მეტი და დაასრულა 70 ათასზე მეტმა პირმა, მიღწეულია უპრეცედენტო შედეგი – სრულად განიკურნა დაავადებულთა 98,9%, გადარჩა 68 ათასი ადამიანის სიცოცხლე. საქართველო C ჰეპატიტთან ბრძოლაში გლობალურ ლიდერადაა აღიარებული. **ცაგერის მუნიციპალიტეტიდან მკურნალობასა და სადიაგნოსტიკო კვლევებში ჩართული იყო 587 პირი, დაიხარჯა – 130 452 ლარი.**

2012 წლის შემდეგ, **ცაგერის** მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა **სამედიცინო მომსახურების დაფინანსება პრიორიტეტულ სფეროებში,** მათ შორის: ფსიქიკური ჯანმრთელობის, დიაბეტის მართვის, დიალიზისა და თირკმლის ტრანსპლანტაციის, იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობის, პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის, რეფერალური მომსახურების პროგრამების დაფინანსება. **რეფერალური მომსახურების პროგრამის განვითარების შედეგად,** გაიზარდა სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების მიწოდება. ცაგერში, 2013-2021 წლებში სულ 199 შემთხვევა 389 354 ლარით დაფინანსდა.

**2013 წლიდან ხორციელდება პირველადი ჯანდაცვის განახლებული ქსელის მოწყობა.** პირველადი ჯანდაცვისა და სოფლის ექიმის როლის გაძლიერების მიზნით, 2014 წლიდან სახელმწიფოს სრული კომპეტენცია გახდა **„სოფლის ექიმის“ პროგრამის** მართვა. 2014 წლის მაისიდან 30%-ით გაიზარდა **სოფლის ექიმებისა და ექთნების ხელფასი;** 2019 წელს „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე სოფლის ექიმები/ექთნები გადავიდნენ სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მართვაში, სახელმწიფო აფინანსებს მათი საქმიანობისათვის აუცილებელ ხარჯებს. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირად დარეგისტრირების შემთხვევაში, სოფლის ექიმები/ექთნები თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისგან. **ცაგერის მუნიციპალიტეტს 61 სოფლის ექიმი და ექთანი ემსახურება.**

## ინფრასტრუქტურული პროექტები

**2014-2020 წლებში, ცაგერის მუნიციპალიტეტში, განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:** ქ. ცაგერის საგანგებო სიტუაციების კოორდინაციის გადაუდებელი დახმარების ახალი ცენტრის მშენებლობა (324 869 ლ); **ამბულატორიების მშენებლობა სოფლებში** ორბელი (80 000 ლ), ქვედა ცაგერი (84 000 ლ), **ამბულატორიების შენობების რეაბილიტაცია** სოფლებში: ჩხუტელი, ღვირიში, ლაილაში, ტვიში, უსახელო, ლასურიაში, ალპანი და ოყურეში (8 სოფელი) – 207 080 ლ; სოფელ უცხერის ამბულატორიის რეაბილიტაცია (10 000 ლ). დაგეგმილია: ლაჯანისა და ზუბის ახალი ამბულატორიების მშენებლობა, სოფელ აღვის, ტვიშის, ლუხვანოს, წიფერჩის, ნაკურალეშის ამბულატორიების რეაბილიტაცია.

**მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება დიალიზზე დამოკიდებულ პაციენტთა დახმარებისა და სამედიცინო მომსახურეობის დაფინანსების პროგრამები.**

**ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად:**

- გაიზრდება მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ჯანმრთელობის დაცვის ხარისხიან სერვისებზე და სამკურნალო საშუალებებზე;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურება და უწყვეტ განათლებაზე ხელმისაწვდომობა;
- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, კვლავ უზრუნველყოფილი იქნება სამედიცინო სერვისების ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, მიზნობრივი ჯგუფები უზრუნველყოფილი იქნებიან შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით და სამკურნალო მედიკამენტებით;
- განხორციელდება ეფექტიანი სახელმწიფო პროგრამები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და პრიორიტეტულ სფეროებში მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მისაწოდებლად;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- განხორციელდება ჯანდაცვის სფეროს უმთავრესი პრიორიტეტის – პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეფორმის მომდევნო ეტაპი. გაიზრდება სისტემის „მეკარიბჭის“ ფუნქცია – უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობის ავადობის ადრეული გამოვლენა და შეკავება;
- გაიზრდება სოფლის ექიმისა და ოჯახის ექიმის როლი და მნიშვნელობა;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამები;
- მუნიციპალიტეტი ხელს შეუწყობს დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარებას;
- მუნიციპალიტეტი განახორციელებს მის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობას და ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების ქმედით მონიტორინგს და მათზე რეაგირებას.
- 2021 წლიდან იგეგმება სამედიცინო მომსახურების პროგრამით ქირურგიული მომსახურების განხორციელება სარეიტინგო ქულის გარეშე.



# სოციალური დაცვა

**2012 წლის შემდეგ, 2,7-ჯერ – 1,7 მილიარდიდან 4,7 მილიარდ ლარამდე გაიზარდა სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.**

**2012 წლის შემდეგ, ეტაპობრივად გაიზარდა სახელმწიფო პენსიის ოდენობები:** 2012 წლისათვის **საპენსიო ასაკის პირთა პენსია** 100 ლარი იყო, 2020 წლის იანვრიდან 2,2-ჯერ მეტი – 220 ლარი, **70 წლის და მეტი ასაკის მოქალაქეთა პენსია** – 250 ლარი; 2021 წლიდან პენსიის ოდენობა 240 ლარით განისაზღვრა, 70 წელს გადაცილებულთა კი -275 ლარით. 2016 წლიდან განისაზღვრა პენსიის დანამატი **მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეებისათვის**, რაც შეადგენს ასაკით პენსიის ოდენობის 20%-ს (264 ლარის ნაცვლად 288 ლარი, ხოლო მთაში მცხოვრები 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერი – 330 ლარი). დანამატს იღებენ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სოციალური პაკეტის მიმღები პირები (დანამატი – სოციალური პაკეტის 20%). 2017 წლის იანვრიდან გათვალისწინებულია მაღალმთიანი აბონენტის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლის) მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელენერგიის ყოველთვიური საფასურის 50%-ის ანაზღაურება (არა უმეტეს 100 კვტ/სთ). **ცაგერის მუნიციპალიტეტში** სახელმწიფო პენსიის მიმღებია (01.04.2021 წ. მდგომ.) 3 052 პირი. 2012 წლის შემდეგ თითქმის 2-ჯერ, 4 321 269 ლარიდან 8 442 382 ლარამდე გაიზარდა პენსიების ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, საპენსიო ანაზღაურებაზე სულ 55 508 833 ლარი დაიხარჯა.

**სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის** გავლის, აგრეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, **შესაძლებლობის შეზღუდვისა** და **გარდაცვალების გამო** გასაცემი კომპენსაციის ოდენობა. **ცაგერში** სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები (01.04.2021 მდგომ.) 32 პირია. 2012 წლის შემდეგ, კომპენსაციებზე გაწეული ხარჯი 6-ჯერ – 33 106-დან 194 271 ლარამდე გაიზარდა, 2013-2021 წლებში სულ სახელმწიფო კომპენსაციებზე 1 277 729 ლარი გაიცა.

**მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში,** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახები უზრუნველყოფილნი არიან მიზნობრივი სოციალური დახმარებით – საარსებო შემწეობით. პროგრამით ასევე გაიცემა: ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ახალშობილის შვილადაყვანის გამო დახმარების, ლტოლვილთა და დევნილთათვის შემწეობების, შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება და სხვ. შემწეობები. **ცაგერის მუნიციპალიტეტში** სოციალური დახმარებით უზრუნველყოფილი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი 1 707 ოჯახია (01.04.2021 მდგომ.). 2012 წლის შემდეგ 1,5-ჯერ – 1 820 ათასიდან 2 719 ათას ლარამდე გაიზარდა **საარსებო შემწეობებზე** გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, საარსებო შემწეობაზე სულ დაიხარჯა 22 639 ათასი ლარი, მათ შორის პენსიონრებზე – 8712 ათასი, შშმ პირებზე – 2 454 ათასი, ბავშვებზე – 4 532 ათასი ლარი.

**შშმ პირები, მარჩენალდაკარგულები და სხვა სოციალურ კატეგორიებს მიკუთვნებულ პირთა წრე** ყოველთვიურად უზრუნველყოფილია სოციალური პაკეტით – ცაგერში, სოციალური პაკეტით სარგებლობს 541 მიზნობრივი ჯგუფი (01.04.2021 წ. მდგომ.), 2012 წლის შემდეგ, გაწეული ხარჯი 5,2-ჯერ – 187 951-დან 973 953 ლარამდე გაიზარდა. 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 6 667 657 ლარი.



**ცაგერის მუნიციპალიტეტში 215 დევნილია** (2021 წლის პირველი აპრილის მდგომარეობით). 2012 წლის შემდეგ 91 404 ლარიდან 132 345 ლარამდე გაიზარდა შემწეობებზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში (01.04.2021 წ. მდგომ.) სულ დაიხარჯა 1 164 223 ლარი. **დევნილებზე** ზრუნვა, მათი განსახლება და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. 2013 წლიდან, განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად, დევნილებს ახალაშენებულ კორპუსებში ბინები და სოფლად სახლები გადაეცემათ. 2013 წლიდან (07.2021 წ. მონაც.), საქართველოს მასშტაბით, განსახლების პროგრამებით, საცხოვრებელი ფართი 23 068-მდე დევნილ ოჯახს გადაეცა, მათგან **ცაგერის მუნიციპალიტეტში** დაკმაყოფილდა 15 ოჯახი, მათ შორის: პროექტით „სოფლად სახლი" სახელმწიფომ სახლი 9 ოჯახს შეუსყიდა; სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფართი 6 ოჯახს დაუკანონდა. საქართველოს მასშტაბით, მიმდინარე წლის ბოლომდე, დამატებით 1 359 დევნილი ოჯახი განსახლდება. ასევე გრძელვადიანი საცხოვრებლით სახელმწიფომ, საქართველოს მასშტაბით, 1997 **ეკომიგრანტი ოჯახი** დააკმაყოფილა: 2013-2021 წ.წ. 667 ოჯახს დაუკანონდა საცხოვრებლი ფართი და მიწის ნაკვეთი, 386 დაკანონების პროცესშია. **დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამით** (მესამე და მომდევნო ბავშვი) ამბროლაურში დაფინანსებულია 73 ბენეფიციარი (1.04,2021 წ. მდგომ.), 2016-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 839 800 ლარი, მათ შორის, 2020 წელს – 158 500 ლარი.

**ახალი კორონავირუსის გლობალურ გამოწვევასთან სწრაფად და ეფექტიანად გამკლავების მიზნით, სოციალური დაცვის მიმართულებით გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, კერძოდ:** სახელმწიფო გასაცემლების უწყვეტად გაცემა, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის იურიდიული ძალის შენარჩუნება და სოციალური პაკეტის უწყვეტად გაგრძელება, იანვრიდან შეჩერებული საარსებო შემწეობების განახლება და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახებისთვის ფულადი დახმარების გაცემის უწყვეტობის უზრუნველყოფა და სხვ. **ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით,** 2020-2021 წ.წ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 193 014 865 ლარი, აქედან ცაგერის მუნიციპალიტეტზე – 999 300 ლარი. **სახელმწიფო დახმარების მიღების უფლება 6 თვის ვადით მოიპოვეს:** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულმა (65001-100000 ქულა) ოჯახებმა, წევრთა რაოდენობის შესაბამისად **(1-წევრიანი – 70 ლ; 2-წევრიანი – 90 ლ; 3 და მეტი წევრი, თითოეულზე – 35 ლ).** პროგრამაში, 2020 წელს – ცაგერის მუნიციპალიტეტში, ჩართული იყო 642 ოჯახი, 2021 წელს (ივნისის მდგომარეობით) – 675. **ყოველთვიური დახმარება (თვეში 100 ლარი)** განისაზღვრა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისთვისაც, რომელთაც ჰყავთ 3 ან მეტი 16 წლის ჩათვლით ასაკის შვილი. პროგრამით, ცაგერში, 2020 წელს, ისარგებლა 81-მა პირმა, 2021 წ. 87-მა პირმა (ივნისის მონაცემებით). **მკვეთრად გამოხატული შშმ პირებისა და 18 წლამდე შშმ ბავშვებისთვის,** სოციალური პაკეტით დახმარებასთან ერთად, დამატებით გამოიყო 100 ლარი (6 თვით), ცაგერში, პროგრამაში 2020 წ. ჩაერთო 142 პირი, 2021 წ. – 135 (ივნისის მდგომარეობით). **დაქირავებით დასაქმებულებისთვის, რომლებმაც დაკარგეს სამსახური ან იყვნენ უხელფასო შვებულებაში, დაწესდა ფინანსური დახმარება 1200-ლარიანი კომპენსაციის სახით (**6 თვე თვეში– 200-200 ლ). ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით, 2020 წ. კომპენსაცია ჯამში მიიღო 162 271-მა ერთეულმა პირმა (131 237 800 ლ), 2021 წელს ჯამში გაიცა 141 909 200 ლარის კომპენსაცია.

**„ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი, სახელმწიფო პროგრამის** დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 მაისის №286 დადგენილების თანახმად, სსიპ დასაქმების სახელწიფო სააგენტო განისაზღვრა პროგრამის ერთ-ერთ განმახორციელებლ უწყებად. სააგენტოს დაევალა კომპენსაციების გაცემა იმ დასაქმებულ/თვითდასაქმებულთათვის, ვინც პანდემიის შედეგად სამსახური ან შემოსავალი დაკარგა. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის კომპენსაციის ოდენობა თვეში 200 ლარი 6 თვით,** გაიცა ორ ეტაპად: I ეტაპი – 2020 წლის მაისიდან დაიწყო და 162 271-მა პირმა მიიღო 131 237 800 ლარი; II ეტაპი – 2021 წლის იანვრიდან 157 638-მა პირმა მიიღო 141 947 400 ლარი. არაფორმალური თვითდასაქმებულების იდენტიფიცირებისა და მათთის ერთჯერადი კომპენსაციების გაცემის მიზნით, შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია, ხოლო სააგენტომ შეასრულა კომისიის სამუშაო ჯგუფის ფუნქციები. **ერთჯერადი 300-ლარიანი კომპენსაცია** მიიღო 248 867 ფორმალურმა და არაფორმალურმა თვითდასაქმებულმა, ჯამში გადაირიცხა 74 660 000 ლარი. 2020 წლის 4 დეკემბრიდან დაიწყო ერთჯერადი, 300-ლარიანი კომპენსაციების გაცემის მეორე ტალღა იმ პირებისთვის, ვისაც შეეხო შეზღუდვები, დაკარგეს შემოსავალი ან შეუჩერდათ ეკონომიკური საქმიანობა – 121 634 პირზე ჯამში გადაირიცხა 36 490 200 ლარი.

2013 წელთან შედარებით **გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს სოციალური დაცვის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 470,5 ათასი ლარი შეადგინა, 2013 წლის შესაბამისი მაჩვენებელი კი 274,2 ათასი ლარი იყო.

მუნიციპალიტეტის მიერ სოციალური დაცვის სფეროში ხორციელდება არაერთი მნიშვნელოვანი პროგრამა. მათ შორის: მრავალშვილიანი ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა, ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარება, ომის ვეტერანთა დახმარება, ხანდაზმულთა მატერიალური დახმარება, მარტოხელა მშობლების დახმარება, უსახლკარო ბენეფიციართა მატერიალური დახმარება, სოციალურად დაუცველ ორსულთა დახმარება, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მატერიალური დახმარება, უკიდურესად გაჭირვებული მოსახლეობის ყოველდღიური უფასო ერთჯერადი კვება და სხვ.

**სამართლიანი, გამჭვირვალე და ეფექტიანი სოციალური დაცვის სისტემის ფუნქციონირების, სიღატაკის დაძლევისა და სიღარიბის შემცირების, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით:**

- შეიქმნება მდგრადი, ეფექტიანი, კოორდინირებული სოციალური დაცვის სისტემის საკანონმდებლო გარანტიები;
- გაუმჯობესდება სოციალური დაცვის მექანიზმები, ყოველი მოქალაქის სხვადასხვა სოციალური რისკებისაგან დაცვის მიზნით;
- გაუმჯობესდება დასაქმებისა და სოციალური გასაცემლების სისტემა;
- გაიზრდება სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ხარისხი და ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;
- მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი ოჯახები კვლავ უზრუნველყოფილი იქნებიან საარსებო შემწეობით;
- გაგრძელდება მიზნობრივი ჯგუფებისათვის სოციალური პაკეტის გაცემა;
- გაგრძელდება დემოგრაფიული მდგომარეობის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება;
- გაიზრდება სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება სოციალური სფეროს მუნიციპალური პროგრამები;
- 2022-2024 წლებში, დამატებით ამოქმედდება პროგრამები, რომლის ფარგლებში განხორცილდება უსახლკარო ოჯახების თავშესაფრით უზრუნველყოფა და ვეტერანის დღესთან დაკავშირებით ფინანსური დახმარების გაწევა – ვეტერანებისათვის ღირსეული პატივის მიგება.

ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41

# განათლება

**განათლების სისტემის განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. 2012 წლის შემდეგ, საქართველოში განხორციელდა ფუნდამენტური სისტემური ცვლილებები მაღალი ხარისხის განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. მათ შორის, შეიქმნა განათლების სისტემის ფინანსური მდგრადობის უზრუნველმყოფი საკანონმდებლო გარანტიები, დაიხვეწა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის მარეგულირებელი კანონმდებლობა, დადგინდა და დაინერგა ძირითადი სტანდარტები.**



განათლებისა და მეცნიერების სფეროში გადადგმული თითოეული ნაბიჯი გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი. ამის დასტურია ის, რომ **2012 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად, 2,5-ჯერ გაიზარდა განათლებისა და მეცნიერების დაფინანსება. 4-ჯერ გაიზარდა სკოლამდელი განათლების, თითქმის 2-ჯერ – ზოგადი განათლების, 5,3-ჯერ – პროფესიული განათლების და 2-ჯერ – უმაღლესი განათლების ბიუჯეტი. მასწავლებლის საბაზო ხელფასის ზრდამ – 65%, ხოლო საშუალო ხელფასის – 120%-შეადგინა. 600 000-მდე მოსწავლე უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით.** 2019 წლის 1 ოქტომბრიდან დაიწყო საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების პედაგოგთა ხელფასების ზრდა და ეს პროცესი მომდევნო წლებშიც გაგრძელდება.

2013-2020 წლებში, საქართველოში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა **მშენებლობა-რეაბლიტაციისა და აღჭურვის** მიზნით 427 მლნ 789,3 ათასი ლარი დაიხარჯა. მათ შორის, 2017-2020 წლებში – 289 მლნ 137,8 ათასი ლარი.

**2012-2020 წ.წ. დასრულებულია 68 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა,** ამ ეტაპზე მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, დასრულებულია 140-მდე სკოლის **სრული რეაბილიტაცია**, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 91 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 1300-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას.

**2017-2020 წლებში დასრულებულია 42 საჯარო სკოლის (მათ შორის, 19 მცირეკონტინგენტიანი საჯარო სკოლა) სამშენებლო სამუშაოები და მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამასთან, მიმდინარე წელს იგეგმება დამატებით 2 ახალი სკოლის მშენებლობის დაწყება. დასრულებულია 83 სკოლის სრული რეაბილიტაცია, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 41 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 500-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას;**

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით, საჯარო სკოლებში ფუნქციონირებს **608 სამედიცინო** კაბინეტი (სკოლის ექიმი). საჯარო სკოლებში დასაქმებულია **145 ფსიქოლოგი**.

„ქართულმა ოცნებამ“ ფუნდამენტური ცვლილებები განახორციელა **პროფესიული განათლების** სისტემის განსავითარებლად. 2013 წლიდან დღემდე პროფესიული განათლების განვითარებისთვის სახელმწიფომ, ჯამში, 300 მილიონ ლარზე მეტი გამოყო, მათ შორის, პროფესიული კოლეჯების მშენებლობა/რეაბილიტაცია/აღჭურვის მიზნით დაიხარჯა 100 მლნ ლარზე მეტი. დაფუძნდა 8 ახალი პროფესიული დაწესებულება და არსებულ ქსელს დაემატა 16 ახალი ლოკაცია. ყველა სახელმწიფო კოლეჯს ჩაუტარდა სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაცია, აშენდა 2 ახალი საერთო საცხოვრებელი. 10-ზე მეტ პროფესიულ დაწესებულებას ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია, მათგან 4 კოლეჯში რეაბილიტაცია განხორციელდა უნივერსალური დიზაინის ნორვეგიული სტანდარტის შესაბამისად. 14 პროფესიულ დაწესებულებაში მოეწყო ინოვაციური ლაბორატორიები (FABLAB). 2021 წელს საკვალიფიკაციო ან/და მომზადება/გადამზადების პროგრამებზე სტუდენტს/მსმენელებს პირველად მიიღებენ ახლად განვითარებული კოლეჯები/ფილიალები კასპში, მარნეულში, დუშეთში, ჩოხატაურში (გორაბერეჟოული), ქედაში, ფოთსა და შუახევში. მიმდინარეობს დამატებით 5 პროფესიული დაწესებულების/ფილიალის სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც სამშენებლო და სატრანსპორტო მიმართულებებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის კადრებს მოამზადებენ. 2018 წელს დამტკიცდა ახალი კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“, რომელმაც შესაძლებელი გახადა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან კიდევ უფრო მეტად დაახლოება. რეფორმის ფარგლებში, გაიზარდა ვაუჩერული დაფინანსება; ჩამოყალიბდა პროფესიული განათლების მართვის ახალი მოდელი, რომელიც კიდევ უფრო გააძლიერებს კერძო სექტორის ჩართულობას პროფესიულ განათლებაში; დაინერგა ინტეგრირებული პროგრამები, რომელთა გავლის შემდეგ საბაზო (9 კლასი) განათლების მქონე პირი სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებულ დიპლომს მიიღებს; შეიქმნა ზრდასრულთა მომზადება-გადამზადების შესაძლებლობა, რაც დააკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს; გაძლიერდა ინკლუზიური პროფესიული განათლება და სხვ.

2012 წლის შემდეგ, 2,1-ჯერ, გაიზარდა **უმაღლესი განათლების** დაფინანსება. **უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით:** სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტებით ყოველწლიურად სრულად/ნაწილობრივ ფინანსდება 30 000-მდე სტუდენტი; გაიზარდა სოციალური პროგრამებისა და მაღალი აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტთა მხარდაჭერის (სტიპენდიების) პროგრამის დაფინანსება; სოციალური პროგრამებით, ყოველწლიურად, ფინანსდებიან სტუდენტები უმაღლესი განათლების I-II საფეხურებზე (წლიური ბიუჯეტი 2 მლნ 725 ათასი ლარი); დაფინანსება გამოეყოფათ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლას აგრძელებენ ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (წლიური ბიუჯეტი – 285 ათასი ლარი); სახელმწიფო აგრძელებს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსებას (პროგრამის ბიუჯეტი – 5 მლნ ლარი); გაიცემა სახელმწიფო სტიპენდიები წარმატებული სტუდენტებისთვის (პროგრამის ბიუჯეტი – 4,7 მლნ ლარი); დაფინანსებას მოიპოვებენ სტუდენტები, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების საფუძველზე სწავლას აგრძელებენ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში (პროგრამის ბიუჯეტი – 20 ათასი ლარი); ყოველწლიურად ფინანსდება და, 2014-2019 წლებში, 800-ზე მეტი სასწავლო სტიპენდია გაიცა წარმატებული ახალგაზრდების მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში სწავლისათვის. 2016 წლიდან ამოქმედდა და სახელმწიფოს მიერ სრულად ფინანსდება მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამები. 2019 წლიდან ამოქმედდა სკოლის შემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამა. პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებით, დადგენილი წესის შესაბამისად, სარგებლობენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირები, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ირიცხებიან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სახელმწიფო აფინანსებს მათი სწავლის საფასურს. 2019 წლიდან მსჯავრდადებულებს, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ ერთიან ეროვნულ/სამაგისტრო გამოცდებს, შესაძლებლობა აქვთ ისწავლონ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე.

2012 წლის შემდეგ, 80%-ით გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტით **მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების** ხელშეწყობის დაფინანსება. 2015 წლიდან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების დაფინანსება 2-ჯერ, ხოლო მეცნიერთა ხელფასები, საშუალოდ, 3-ჯერ გაიზარდა. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისათვის ამოქმედდა პროგრამული დაფინანსების მექანიზმი და სადღეისოდ ფინანსდება 47 კვლევითი ინსტიტუცია.

## სკოლამდელი აღზრდა და განათლება

**სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი საკუთარი უფლებამოსილება და პრიორიტეტია.** ცაგერში ფუნქციონირებს 15 მუნიციპალური საბავშვო ბაღი, მათგან 2 – ქ. ცაგერში, ხოლო 13 – სოფლად.

**2013 წლის შემდეგ საქართველოს მასშტაბით საბავშვო ბაღები გახდა უფასო. მნიშვნელოვნად გაიზარდა ცაგერში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების დაფინანსება.** 2020 წელს განათლების სფეროს ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა 816,4 ათასი ლარით განისაზღვრა, მათ შორის, 750 ათასი, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიმართულებით, 2013 წელს კი შესაბამისი მაჩვენებელი 449,5 ათასი ლარი იყო.

ბოლო წლებში გადამზადდნენ მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სისტემის მუსიკის პედაგოგები, სანიტარულ ჰიგიენურ მიმართულებით – მედდები და მზარეულები.

**2014-2021 წლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია. მათ შორის:**

**2014 წელს** საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციის 12 პროექტის განხორციელებაზე, ჯამში, 136,2 ათასი ლარი დაიხარჯა. რეაბილიტაცია ჩაუტარდა: სოფელ ალპანის (20 ათასი ლარი), ზუბის (35,3 ათასი ლარი), ლაილაშის (6,2 ათასი ლარი), ლასურიაშის (11,6 ათასი ლარი), ლაჯანის (13 ათასი ლარი), ოყურეშის (10,6 ათასი ლარი), წიფერჩისა (20,3 ათასი ლარი) და ორბელის (19 ათასი ლარი) საბავშვო ბაღებს. სულ, ამ წელს, ბაღების სარეაბილიტაცი სამუშაოებზე საერთო ჯამში, 311,1 ათასი ლარი დაიხარჯა.

**2015 წელს** ახალი საბავშვო ბაღები აშენდა სოფელ მახაშსა და დეხვირში, სარემონტო სამუშაო ჩატარდა სოფელ ჩხუტელის საბავშვო ბაღში, რაც, საერთო ჯამში, 120,6 ათასი ლარით დაფინანსდა; სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა ქ. ცაგერის №1 საბავშვო ბაღს (319,6 ათასი ლარი).

41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

**2016 წელს** დასრულდა ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა სოფელ ქვედა ცაგერში (404,3 ათასი ლარი).

**2018 წელს** დასრულდა ქ. ცაგერში №2 საბავშვო ბაღის სრული რეაბილიტაცია (351,1 ათასი ლარი).

**2019 წელს** ახალი საბავშვო ბაღი აშენდა სოფელ ლაჯანაში (378,8 ათასი ლარი), ბავშვებს საჩუქრად გადაეცათ საბავშვო ლიტერატურა, მომავალ პირველკლასელებს – „დედაენა“.

**შესრულებული სამუშაოების შედეგად, 2021 წელს** საბავშვო ბაღებში მუნიციპალიტეტში მცხოვრები 268 აღსაზრდელი დადის.

მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში **კვების თანხა** თითოეულ აღსაზრდელზე 1,25-დან 2.85 ლარამდე გაიზარდა. ამით მნიშვნელოვნად გაფართოვდა და სრულფასოვანი გახდა ბავშვების კვების რაციონი.

**სასკოლო მზაობის პროგრამა მიმდინარეობს 5** ბაღის 5 ჯგუფში, სადაც ჩართულია 54 აღსაზრდელი. დაწესებულებებში დასაქმებულია 80 აღმზრდელ-პედაგოგი (41 აღმზრდელი), მათგან სასკოლო მზაობის პროგრამას ახორციელებს 8 აღმზრდელ-პედაგოგი. საბავშვო ბაღებს 10 ექიმი/ექთანი და 3 ფსიქოლოგი ემსახურება.

## ზოგადი განათლება

**მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 25 საჯარო სკოლა, მათგან 1 – ქ. ცაგერში.** სულ სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობა 778-ია, ხოლო მასწავლებლების – 133 (11 სპეციალური მასწავლებელი). მულტიდისციპლინური გუნდის მიერ, 2020 წლის მაისის მდგომარეობით, იდენტიფიცირებულია 24 სსსმ მოსწავლე. მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში მანდატურები არ ჰყავთ. ექიმის კაბინეტი ფუნქციონირებს 3 საჯარო სკოლაში.

**2013-2021 წლებში, ზოგადი განათლების სფეროში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად, ცაგერის მუნიციპალიტეტში განხორციელდა სხვადასხვა მიზნობრივი, საგანმანათლებლო და ტრენინგპროგრამა, მათ შორის:** პროგრამით **„დავისვენოთ და ვისწავლოთ ერთად“,** საზაფხულო სკოლებში, 2013-2019 წლებში, ცაგერის მუნიციპალიტეტიდან 128 მოსწავლე იყო ჩართული. 2017-2019 წლებში, **სასწავლო აქტივობების ხელშეწყობის** პროგრამით, საჯარო სკოლებში 38 სასკოლო პროექტი/არაფორმალური განათლების წრე დაფინანსდა, 2017-2019 წლებში ფინანსურად ხელი 75 სასკოლო აქტივობის განხორციელებას შეეწყო და სასკოლო აქტივობების 43 პროექტი დაფინანსდა. **საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფის პროგრამით** 2017 წელს, სოფელ ოყურეშის საჯარო სკოლას – 10, სოფელ მახაშის საჯარო სკოლას – 4 კომპიუტერი გადაეცათ. ზოგადი განათლების ხელშეწყობის პროგრამით, 2013-2019 წლებში, **ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადებში,** საერთო ჯამში, საჯარო სკოლების 1492 მოსწავლე მონაწილეობდა. 2018-2019 წლებში, **ოპტიკური კავშირითა და მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით** საჯარო სკოლების აღჭურვის 1 პროექტი განხორციელდა. 2018 წელს, **კორპორატიული სტანდარტის უსადენო ქსელით/ლოკალური უსადენო ქსელით** ერთი საჯარო სკოლა აღიჭურვა. 2015-2019 წლებში, მუნიციპალიტეტში, საჯარო სკოლების **შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით,** სასკოლო ავეჯით, სპორტული ინვენტარითა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით აღჭურვის 29 პროექტი განხორციელდა. **2020 წელს, ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ინსტრუმენტები** („ახალი სკოლის“ მოდელი), მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშემწყობი შეფასებისა და სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების ინტეგრირების სისტემები დაინერგა ცაგერის 3 საჯარო სკოლაში. 2021 წელს კი „ახალი სკოლის“ მოდელში, დამატებით, 6 საჯარო სკოლა ჩაერთო. **მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის** პროგრამით 22 საჯარო სკოლის (42 მიმართულება) 272 მოსწავლე სარგებლობს. 2017-2020 წლებში, ცაგერის საჯარო სკოლებს, საერთო ჯამში, 770 **სასკოლო ჟურნალი და** 23861 **სახელმძღვანელო** უსასყიდლოდ გადაეცათ. პროგრამით **„ჩემი პირველი კომპიუტერი“,** 2013-2019 წლებში, პირველკლასელებს საჩუქრად 440 კომპიუტერი გადაეცათ, კლასის დამრიგებლებს – 94, წარჩინებულ მოსწავლეებს – 77. იმავე პერიოდში, ცაგერის საჯარო სკოლებში, ჯამში, 66 **ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი** გამოვლინდა. **მასწავლებელთა პროფესიული განვითარების** მიზნობრივი პროგრამებით, კონსულტანტ-მასწავლებლებმა, ადგილობრივმა და უცხოელმა მასწავლებლებმა გაიარეს ტრენინგმოდულები.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების **ინფრასტრუქტურის** განვითარების პროგრამით, **2013-2021 წლებში,** ცაგერის მუნიციპალიტეტში საჯარო სკოლების ნაწილობრივი რეაბილიტაციის 38 პროექტი განხორციელდა. ადაპტირებულია 13 საჯარო სკოლა; ცენტრალური გათბობის სისტემით აღჭურვილია მუნიციპალიტეტის 3 საჯარო სკოლა. ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის პროგრამაში მუნიციპალიტეტის ერთი საჯარო სკოლაა (ოყურეშის საჯარო სკოლა) ჩართული.

**2013 წელს** ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდა 9 საჯარო სკოლას (აღვის, ალპანის (45,8 ათასი ლარი), ბარდნალას (52,6 ათასი ლარი), ქ. ცაგერის №1 (30,7 ათასი ლარი), ჩხუტელის (89,2 ათასი ლარი), ლაილაშის, ლუხვანოს (36,2 ათასი ლარი), ოყურეშის (85,8 ათასი ლარი) და ზუბის (31 ათასი ლარი), რაზეც სულ 497,5 ათასი ლარი დაიხარჯა;

**2014 წელს** 3 საჯარო სკოლის (ოყურეშის,ლასურიაშისა და ცაგერის) ნაწილობრივი რეაბილიტაციასა და 4 საჯარო სკოლის (ლაჯანის, ქვედა ცაგერის, ჩხუტელისა და ლაილაშის) სპორტული მოედნის მოწყობას სულ 694,9 ათასი ლარი მოხმარდა;

**2015 წელს** განხორციელდა ლაცორიას, ქვედა ცაგერის, უსახელოს, ქ. ცაგერის, ლაჯანის, ალპანის, ტვიშისა და ზუბის საჯარო სკოლების ნაწილობრივი რეაბილიტაციის 9 პროექტი, სამედიცინო ოთახი მოეწყო 3 საჯარო სკოლაში, რაზეც სულ დაიხარჯა 705,3 ათასი ლარი;

**2016 წელს,** MCC-ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის დაფინანსებით, განხორციელდა სოფ. ოყურეშის საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია, რაზეც 1 მლნ 500 ათასი ლარი დაიხარჯა.

**2017 წელს** მუნიციპალიტეტის 2 საჯარო სკოლაში (ლაილაშისა – 17,1 ათასი ლარი და ლაჯანის -11,8 ათასი ლარი) ჩატარდა სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები; ორბელის საჯარო სკოლაში მოეწყო სამედიცინო ოთახი (13,9 ათასი ლარი), სოფელ მახაშის საჯარო სკოლის აღჭურვა 13,5 ათასი ლარით დაფინანსდა.

**2018 წელს** განხორციელდა ქ. ცაგერისა (33,3 ათასი ლარი) და სოფელ ქვ. ცაგერის (118,1 ათასი ლარი) საჯარო სკოლების ნაწილობრივი რეაბილიტაცია (151,5 ათასი ლარი). ახალი სკოლა აშენდა სოფელ მახაშში (459,1 ათასი ლარი).

**2019 წელს** განხორციელდა სოფელ ბარდნალის საჯარო სკოლის სველი წერტილების მოწყობისა და სოფელ ტვიშის საჯარო სკოლის შენობის სარემონტო სამუშაოები, რასაც, საერთო ჯამში, 63,9 ათასი ლარი მოხმარდა. სოფელ ჩხუტელის ზურაბ ეფაძის სახელობის საჯარო სკოლის სარემონტო სამუშაოებზე 151,7 ათასი ლარი დაიხარჯა. ქ. ცაგერის საჯარო სკოლის ცენტრალური გათბობის სისტემის საქვაბე მეურნეობის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 77,8 ათასი ლარი დაიხარჯა. სოფელ სორისა და შეუბნის საჯარო სკოლები დაფინანსდა გათბობის სისტემების რეაბილიტაციის მიზნით. 3 საჯარო სკოლას (სორი, შეუბანი, ჭიორა), ჯამში, 13 ათასი ლარი გადაეცა, საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით.

**2020 წელს** საჯარო სკოლებში სველი წერტილების რეაბილიტაციის 13 პროექტი განხორციელდა, რაზეც, ჯამში, ინფრასტრუქტურის სამინისტროს სკოლების სახელმწიფო პროგრამით, 70,6 ათასი ლარი დაიხარჯა. სველი წერტილები მოეწყო სოფელ ორხვის, უსახელოს, ზუბის, ლაცორიის, ნასპერის, აღვის, საირმის, ლუხვანოს, ორბელის, დეხვირის, ჩხუტელის, სურმუშის (დაწყებითი),უცხერის (დაწყებითი) საჯარო სკოლებში. იმავე წელს განხორციელდა სოფელ ლაცორიის, დეხვირის, ნასპერის, ქვ. ცაგერის, ბარდნალის, ტვიშის, ჩხუტელის, ჩქუმის, ორხვის, ღვირიშის საჯარო სკოლების რეაბილიტაცია, რასაც, საერთო ჯამში, 375 ათასი ლარი მოხმარდა.

**2020-2021** წლებში ახალი სკოლა აშენდა სოფ. ლაილაშში, რაზეც მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 1 მლნ 886,2 ათასი ლარი დაიხარჯა.

## უმაღლესი განათლება

უმაღლესი განათლების ხელშეწყობის მიზნით, 2018 წლიდან **სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსება მოიცავს რაჭა ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონს რეგიონის (ამბროლაური, ლენტეხი, ონი, ცაგერი)** მაღალმთიანი სტატუსის მქონე სოფლების სკოლის კურსდამთავრებულებს, 2018-2019 სასწავლო წელს რაჭა ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონიდან დაფინანსდა 15 სტუდენტი. 2019-2020 სასწავლო წელს – 15; 2020-2021 სასწავლო წელს კი – 15 სტუდენტი.

### „ქართული ოცნების“ უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტების – განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით განხორციელდება:

- საჯარო დაწესებულებებში სკოლამდელი განათლება დარჩება უფასო;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაფინანსება;
- გაგრძელდება სასკოლო მზაობის ჯგუფების ფუნქციონირება და ყველასთვის ხელმისაწვდომი სასკოლო მზაობის ეფექტიანი პროგრამების განხორციელება;
- 2021-2024 წლებში დაგეგმილია: სოფელ ზუბისა (125 ათასი ლარი) და ორბელის (125 ათასი ლარი) საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია. ახალი ბაღები აშენდება სოფლებში: წიფერჩი, ალპანა და ოყურეში, რასაც საერთო ჯამში, 1 მლნ 200 ათასი ლარი მოხმარდება;
- უწყვეტად გაგრძელდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მოდერნიზება, რაც უზრუნველყოფს ბავშვისთვის სკოლაში საჭირო მრავალმხრივი – აკადემიური, ფუნქციური, ქცევითი, ემოციური და სოციალური უნარების განვითარებას; განხორციელდება ღონისძიებები სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებზე მორგებული განათლების მომსახურების უზრუნველსაყოფად;
- მნიშვნელოვნად გაიზრდება ზოგადი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, გაიზრდება მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება;
- რეფორმის ფარგლებში დაინერგება მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პრინციპები;
- მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით განხორციელდება ცაგერში იდენტიფიცირებული 6-დან 16 წლამდე სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების ოჯახებთან/ფაქტობრივ მეურვეებთან კომუნიკაცია ბავშვების განათლების უფლების უზრუნველყოფის მიზნით.;
- 2024 წლამდე რეაბილიტაცია ჩაუტარდება სოფელ უსახელოსა (30 ათასი ლარი) და ცაგერის (700 ათასი) საჯარო სკოლებს; ახალი სკოლები აშენდება სოფელ ორბელსა (3 მლნ ლარი) და თაბორში (3 მლნ 500 ათასი ლარი); ინფრასტრუქტურის სამინისტროს სკოლების სახელმწიფო პროგრამით განხორციელდება: ქალაქ ცაგერის საჯარო სკოლის სახურავის სრული რეაბილიტაცია და 4 ოთახის იატაკების შეცვლა – 150 ათასი ლარი; სოფელ საირმის საჯარო სკოლის კარ-ფანჯრების შეცვლა – 10 ათასი ლარი;
- 2024 წლიდან ცაგერის მუნიციპალიტეტში დაგეგმილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი ახალი დაწესებულების განვითარება;
- გაიზრდება პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადება-გადამზადების პროგრამების ხელმისაწვდომობა, შემუშავდება პროფესიული განათლების მიღმა მყოფი მოწყვლადი ჯგუფების იდენტიფიკაციისა და პროფესიულ განათლებაში ჩართვის მექანიზმები;
- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, დაინერგება კვალიფიკაციების ახალი ჩარჩო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის ახალი სტანდარტები და პროცედურები, კრედიტების ახალი სისტემა და კერძო სექტორის მიერ/მონაწილეობით პროფესიული სტანდარტების შემუშავების წესი;
- ამოქმედდება პროფესიული განათლების მასწავლებლის შედეგებზე ორიენტირებული შრომის ანაზღაურების ახალი სქემა;
- გაიზრდება უმაღლესი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, შემუშავდება უმაღლესი განათლების სისტემის დაფინანსების ახალი მოდელი, რომელიც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების მდგრად განვითარებასა და სასწავლო პროცესის სწავლის შედეგებზე ორიენტირებას;
- შემუშავდება და დამტკიცდება საქართველოში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომლის მთავარი მიზანი იქნება ქვეყნის ეკონომიკის სტრატეგიული განვითარების მოთხოვნებსა და საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული ინსტიტუციების განვითარების ხელშეწყობა.

ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41

# კულტურა, სპორტი და ახალგაზრდული პოლიტიკა

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, 2012 წლის ოქტომბრიდან, საქართველომ მიაღწია არსებით წინსვლას, პრაქტიკულად, ყველა მიმართულებით. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კულტურის განვითარებას, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობასა და აღდგენა-რესტავრაციას, ქვეყანაში სპორტის განვითარებასა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას. ახალგაზრდული პოლიტიკის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას.**

## კულტურა

**ცაგერის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული შემდეგი დაწესებულებები:** ცაგერის მთავარი ბიბლიოთეკა (ახალგაზრდული განყოფილება, საბავშვო განყოფილება, 40 სასოფლო განყოფილება), ისტორიული მუზეუმი ქვედანაყოფებით; სურათების გალერეა, ლადო ასათიანის სახლ-მუზეუმი, არჩილ გელოვანის სახლ-მუზეუმი, სევერიან ისიანის სახლ-მუზეუმი, არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, დიდების მუზეუმი. კულტურის ცენტრი (29 სასოფლო კლუბი, მამაკაცთა ფოლკლორული ანსამბლი „სალაღობო“, ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლი „ხვამლი“, გრ. მდივნის სახელობის სახალხო თეატრი, ქალთა ანსამბლი „მერდინი“, აკადემიური გუნდი, ფოლკლორული ანსამბლი „სალაღობო“, ხალხურ საკრავთა შემსწავლელი წრე, მექი ყურაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლა, სამხატვრო სკოლა და ესთეტიკური აღზრდის ცენტრი (ქორეოგრაფიული ანსამბლი „ლეჩხუმი“), მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი.

2013 წელთან შედარებით, **გაიზარდა კულტურის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს კულტურის სფეროს ხარჯები და არაფინანსური აქტივები ზრდა 967 ათასი ლარით განისაზღვრა, 2013 წელს კი შესაბამისი მაჩვენებელი 561,8 ათასი ლარი იყო.

**2014-2020 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა საზოგადოების ჩართულობა კულტურულ ცხოვრებაში.** მუნიციპალიტეტში ყოველწლიურად იმართებოდა სახალხო ზეიმი „ლადოობა“, რელიგიური დღესასწაული „მაქსიმობა”, კონფერენციები, შეხვედრები მკითხველებთან, პოეზიის საღამოები და ღირსშესანიშნავი დღეებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, ეწყობოდა გამოფენები და ექსპოზიციები, ტარდებოდა კონცერტები კულტურის ცენტრთან არსებული და სხვა შემოქმედებითი კოლექტივების მონაწილეობით. მუნიციპალიტეტში ჩატარდა ანიმატორთა შოუ და საერთაშორისო ფესტივალი „არტგენი“.

**2019 წელს, სამინისტროს ხელშეწყობით, მაღალმთიანი რეგიონებისთვის კულტურული ცხოვრების ხელმისაწვდომობის მიზნით**, ცაგერის მუნიციპალიტეტში ჩატარდა კამერული მუსიკის კონცერტები სახელწიფო კამერული ორკესტრის მონაწილეობით.

**2014-2020 წლებში განხორციელდა კულტურის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები:**

**2014 წელი** – ცაგერის კულტურული ობიექტების (სურათების გალერეა, მთავარი ბიბლიოთეკა) რეაბილიტაცია (258,8 ათასი ლარი); სოფელ ლუხვანოს კლუბ-ბიბლიოთეკის შენობის სახურავის აღდგენითი სამუშაოები (4,4 ათასი ლარი, რეგიონული განვითარების ფონდი);

**2014-2016 წლები** – დეხვირის მუზეუმის „ღია ცის ქვეშ“ და დოღურაშის ტერიტორიაზე არქეოლოგიური სამუშაოები (27 ათასი ლარი).

**2015 წელი** – ცაგერის ისტორიული მუზეუმის მარჯვენა ფლიგელის მშენებლობა (332,8 ათასი ლარი, რეგიონული განვითარების ფონდი);

**2017-2018 წლებში** განხორციელდა ქ. ცაგერში „მწვანე თეატრის“ რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის სამუშაოები, რასაც 485 ათასი ლარი მოხმარდა;

**2018 წელს** განხორციელდა დეხვირის არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული ღია მუზეუმის არტეფაქტების გადახურვის სამუშაოები (57, 3 ათასი ლარი), **2019 წელს** კი დასრულდა მუზეუმის საყრდენი კედლების, სანიაღვრე არხების მოწყობა (235,2 ათასი ლარი).

**2019 წელს** დაიწყო და მიმდინარეობს გონის წმ.გიორგის ეკლესიის რეაბილიტაცია სოფელ ორხევში.

**2020 წელს** დასრულდა დეხვირის ღია მუზეუმის გადახურვის სამუშაოები – 77,3 ათასი ლარი; მუნიციპალიტეტის მთავარი ბიბლიოთეკა და რამდენიმე სოფლის განყოფილება უზრუნველყოფილი იქნა კომპიუტერული ტექნიკით.

**კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიზნობრივი პროგრამების ფარგლებში მუნიციპალიტეტში შემდეგი პროექტები განხორციელა:** ა(ა)იპ ვ. მახარობლიძის სახელობის ცაგერის ისტორიული მუზეუმის ფილიალის, ცხეთა-დეხვირის მუზეუმ-ნაკრძალის მთავარი ციხის ტერიტორიის შეღობვა (15 ათასი ლარი, 2013); ლეჩხუმის კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ინვენტარიზაცია (34 ათასი ლარი, 2014); „ხვამლის მთის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ინვენტარიზაცია“ (14 ათასი ლარი, 2014); ხვამლის მთა – არქეოლოგიური სამუშაოები (56, 9 ათასი ლარი, 2015-2016); ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი „თოფუზი” (20 ათასი ლარი); „ხვამლის მთა – არქეოლოგიური სამუშაოები“ (25 ათასი ლარი). **2017-2018 წლებში** – ხვამლის მთის არქეოლოგია; სოფ. ორხვში გონის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის რეაბილიტაცია (68, 9 ათასი ლარი). **2019-2020 წლებში –** ხვამლის წმინდა გიორგის ეკლესიის ტერიტორიის გაწმენდითი სამუშაოები (30 ათასი ლარი).

## სპორტი

**ცაგერის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული კომპლექსური სასპორტო სკოლა, საფეხბურთო კლუბი „ხვამლი“ და ფრენბურთის კლუბი „ცაგერი“.**

2013 წელთან შედარებით, **გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სპორტის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს სპორტის სფეროს ხარჯები და არაფინანსური აქტივები ზრდა 465 ათასი ლარით განისაზღვრა, 2013 წელს კი შესაბამისი მაჩვენებელი 157,6 ათასი ლარი იყო.

**მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული სპორტის სახეობებია:** ფრენბურთი, ფეხბურთი, ქართული ჭიდაობა, ძიუდო, კალათბურთი, შაში, მაგიდის ჩოგბურთი, მკლავჭიდი, ჭადრაკი.

აღსანიშნავია მასობრივი და მაღალი მიღწევების მქონე სახეობების განვითარების ხელშეწყობა. სასკოლო სპორტული ოლიმპიადის, მოყვარულთა ლიგის, მასტერ ლიგის პროექტებში აქტიური მონაწილეობა. მუნიციპალიტეტში სისტემატურად ტარდება მასობრივი სპორტული ღონისძიებები და იდგმება ნაბიჯები მაღალი მიღწევების სპორტის, კერძოდ, ფრენბურთის, ძიუდოს და სხვა სახეობების ხელშეწყობის კუთხით. მუნიციპალიტეტის სპორტსმენები და სპორტული კოლექტივები მონაწილეობას იღებენ რესპუბლიკურ და საერთაშორისო შეჯიბრებებში. მუნიციპალიტეტში დაფუძნდა რაგბის სექცია, ტარდება რეგიონული ფესტივალები და სხვ.

მუნიციპალიტეტის მიერ პერიოდულად ხორციელდება წარმატებული სპორტული კოლექტივებისა და ცალკეული სპორტსმენების ფინანსური წახალისება, მათ შორის, საქართველოს ჩემპიონი ფრენბურთის გუნდისა და რესპუბლიკურ (საერთაშორისო) ტურნიტრებში წარმატებული მოჭიდავეების (ძიუდო, ქართული ჭიდაობა, სამბო) ფულადი წახალისება.

**2014-2021 წლებში, განხორციელდა მუნიციპალიტეტის სპორტული ობიექტების მშენებლობა/რეაბილიტაციის პროექტები. მათ შორის:**

**2015 წელს** კომპლექსური სასპორტო სკოლის სათამაშო დარბაზში იატაკის გამოცვლასა და რემონტს 34,2 ათასი ლარი მოხმარდა;

**2016 წელს** ახალი ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედანი მოეწყო სოფელ ალპანაში, რაზეც 49,9 ათასი ლარი დაიხარჯა (რეგიონული განვითარების ფონდი);

**2017 წელს** ქ. ცაგერში არსებული სასპორტო სკოლის სპორტული დარბაზის გათბობის სისტემის მოწყობის სამუშაოებზე 21,6 ათასი ლარი დაიხარჯა.

**2018 წელს** ქ. ცაგერში სპორტული ტრენაჟორების მოწყობას 84,3 ათასი ლარი მოხმარდა (რეგიონული განვითარების ფონდი).

**2019 წელს** ქ. ცაგერში დასრულდა მრავალფუნქციური სპორტული დარბაზის მშენებლობა, რაც 2 მლნ 985 ათასი ლარით დაფინანსდა. ახალი ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნები მოეწყო სოფლებში: ჭალისთავი, სურმუში, ალპანა, ზუბი (საერთო ჯამში – 269,2 ათასი ლარი). გარე სავარჯიშო მოწყობილობები (ტრენაჟორები) დაიდგა სოფლებში: ალპანა, ჩხუტელი, ჩქუმი, წიფერჩი, ტვიში, ლასურიაში და ლაჯანა – 138,5 ათასი ლარი (რეგიონული განვითარების ფონდი);

**2020 წელს** ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნები მოეწყო სოფ. აღვსა და ქვედა ცაგერში (130 ათასი ლარი), 2021 წელს კი მინიმოედნები აშენდა სოფ. ლასურიაშსა და დეხვირში (110,5 ათასი ლარი). გარე სავარჯიშო მოწყობილობები დაიდგა სოფლებში: ალპანა, ჩხუტელი, ჩქუმი, წიფერჩი, ტვიში, ლასურიაში და ლაჯანა (138,5 ათასი ლარი, რეგიონული განვითარების ფონდი); **2019-2020 წლებში** ღია საცურაო აუზი აშენდა სოფ. ზოგიშში (10 ათასი ლარი).

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით, სპორტულმა ფედერაციებმა მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახეობის შიდა ჩემპიონატები ჩაატარეს, სამინისტრომ ქუჩის სავარჯიშო მოწყობილობების მშენებლობა და სხვადასხვა მცირეფასიანი ინვენტარის შეძენაც დააფინანსა, მათ შორის, 2013-2018 წლებში, სამინისტრომ მუნიციპალიტეტში 1 ქუჩის სავარჯიშო მოწყობილობის მშენებლობა დააფინანსა (დაიხარჯა 13,3 ათასი ლარი) და მუნიციპალიტეტისთვის სხვადასხვა მცირეფასიანი ინვენტარიც შეიძინა (10 ათასი ლარი).

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს **„მაღალმთიან დასახლებებში სპორტის სფეროში**



**დასაქმებული მწვრთნელების მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში,** მუნიციპალიტეტში დასაქმებული 25 მწვრთნელი იღებს ფულად დანამატს. ეს პროგრამა ხელს უწყობს ადგილზე მწვრთნელების დამაგრებას და სხვა პირების მაღალმთიან რეგიონში მწვრთნელად მუშაობის მოტივაციის გაზრდას.

სამინისტროს ჩართულობით. 2018-2020 წლებში, მუნიციპალიტეტში ჩატარდა ევროპის სპორტის კვირეული; აღინიშნა საერთაშორისო დღე – **„სპორტი მშვიდობის და განვითარებისთვის".**

## ახალგაზრდული პოლიტიკა

**ახალგაზრდობის სფეროში სამინისტრომ მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის პროექტი განახორციელა:** კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და რეაბილიტაციის პროგრამა, ცაგერი – ლენტეხი – ამბროლაური (30 მონაწილე); მოხალისეობის განვითარების პროგრამა (რეგიონის მასშტაბით 2-2 ახალგაზრდა ყველა მუნიციპალიტეტიდან); „საქართველოს თასი ლაშქრობაში" – მონაწილეობდნენ 18-დან 29 წლამდე ასაკის ახალგაზრდები საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტიდან; მუნიციპალიტეტებში ახალგაზრდობაზე პასუხისმგებელ პირთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები და სხვ.

**სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის მხარდაჭერით,** მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებმა განახორციელეს პროექტები: „ხვამლის მთის შესწავლა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია", „მე – საქართველოს მოქალაქე (სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი, ზემო აჭარა)", „თანადგომა მდგრადი განვითარებისთვის" (სულ დაიხარჯა 43,4 ათასი ლარი). პროექტების მიზანი იყო: ხვამლის ისტორიულ-არქეოლოგიური კვლევა – უძველესი საკულტო ნაგებობების შესწავლა და ტოპოაგეგმვა, „მეფეთასაგანძურის" ქვაბების სისტემური შესწავლის დაწყება, ხვამლის მთის გარშემო არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ფიქსაცია, ახალგაზრდობის ჩართვა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის, კერძოდ ხვამლის მთის არქეოლოგიური ძეგლების კვლევასა და მის პოპულარიზაციაში, სოფელ ტვიშში ორგანიზაციის ბაზაზე არსებული სოციალური საწარმოს მოდერნიზაცია, აუცილებელი აღჭურვილობისა და მასალების შეძენა-მონტაჟი.



**მუნიციპალიტეტში განხორციელდა ახალგაზრდობის კავშირების აღდგენის პროექტი,** რომელიც მოიცავდა სხვადასხვა ღონისძიებებს: მოეწყო შეხვედრები მუნიციპალიტეტის სკოლების განსაკუთრებით აქტიურ მოსწავლეებთან; ბავშვთა და სტუდენტთა გაერთიანებისა და სტუდენტური პარლამენტის ორგანიზებით, განხორციელდა პროექტი – „განავითარე შენი რეგიონი", რომლის ფარგლებშიც მოეწყო პრეზენტაციები ტურიზმის მიმართულებით, გამარჯვებული ორი მოსწავლე თურქეთის რესპუბლიკაში მოგზაურობით დაჯილდოვდა; ჩატარდა ახალგაზრდული დღეები (პოეზიის საღამოები, კინოჩვენებები, დისკოთეკები) და შემოქმედებითი ახალგაზრდული კონკურსები (ხატვა, პოეზია, პროზა).

კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდული ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ახალგაზრდობის ფესტივალში მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს. სპორტის 4 სახეობასა და შემოქმედებით კონკურსში გამარჯვებული მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები ზაფხულში უფასო დასვენებით დაჯილდოვდნენ.

**2025 წლამდე კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებებით ცაგერის მუნიციპალიტეტში შემდეგი ღონისძიებები გატარდება:**

- უზრუნველყოფილი იქნება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებებით მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ინსტიტუციების ეფექტიანი და შედეგებზე ორიენტირებული საქმიანობა;
- გაიზრდება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროების დაფინანსება;
- გაიზრდება კულტურის ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის;
- ხელი შეეწყობა სახელოვნებო განათლების განვითარებას;
- განხორციელდება კულტურული ცხოვრების ხელშემწყობი და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა-რეაბილიტაციის ღონისძიებები;
- 2022-2023 წლებში, დაგეგმილია ქ. ცაგერში კულტურის ცენტრის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის სამუშაოები – 3 მლნ ლარი;
- გაგრძელდება ხვამლის მთის არქეოლოგიური სამუშაოები;
- სამხატრო სკოლაში იგეგმება სახელოსნოს მოწყობა და სველი წერტილების მოწესრიგება;
- მიმდინარეობს გონის წმ. გიორგის ეკლესიის რეაბილიტაცია სოფელ ორხვში – პროექტის ღირებულება 75 ათასი ლარია. სამუშაოები მიმდინარე წლის ბოლოსთვის დასრულდება;
- გაგრძელდება სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტცია. დაგეგმილია ღია საცურაო აუზის მშენებლობა სოფ. აჭარაში – 51,8 ათასი ლარი;
- დაგეგმილია ცაგერის ცენტრალური სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოები; მინისტადიონი აშენდება სოფელ თაბორში (74,4 ათასი ლარი – რეგიონული განვითარების ფონდიდან);
- გაგრძელდება სპორტის მასობრივი და მაღალი მიღწევების მქონე სახეობების განვითარება;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში სპორტის პრიორიტეტულ სახეობათა პოპულარიზაციას;
- ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების სპორტული შესაძლებლობების გამოსავლენად გაგრძელდება წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობა და მათთვის შესაბამისი პირობების შექმნა;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართვასა და მათ მიერ ინიცირებული პროექტების განხორციელებას,
- განხორციელდება სპორტული ცხოვრების განვითარებისა და ახალგაზრდობის ეფექტიანი პოლიტიკის გატარების ხელშემწყობი პროექტები.



ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41




# ჩემო ძვირფასებო!

ჩემი სამომავლო გეგმები ცაგერის მუნიციპალიტეტის განვითარებას, უპირველესად კი, ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერასა და მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას უკავშირდება.

გპირდებით, თქვენი მხარდაჭერით, უახლოეს დროში დავიწყებთ გაზიფიცირების პროცესს, უზრუნველვყოფთ, ყველა სოფელში მოწესრიგებული იყოს საგზაო ინფრასტრუქტურა, გაუმჯობესდეს სასმელი წყლის ხარისხი და აქტიურად დაიწყოს ინტერნეტიზაციის პროცესი.

აუცილებლად ვიზრუნებთ ლეჩხუმის, როგორც უდიდესი ტურისტული პოტენციალის მქონე მხარის, ცნობადობის გაზრდასა და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებაზე. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ხვამლს მიენიჭოს დაცული ტერიტორიის, ხოლო „ორბელურ ოჯალეშსა“ და „უსახელოურს” ადგილწარმოშობის სტატუსი.

განვავითარებთ ლაშიჭალას, როგორც უმნიშვნელოვანეს საკუროროტო ზონას, შევიმუშავებთ ახალჭალის საკურორტო ზონის გენერალურ გეგმას და უზრუნველვყოფთ მასთან მისასვლელი საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას.

ადგილობრივ ფერმერებს ხელს შევუწყობთ პროდუქციის წარმოებასა და რეალიზებაში; ასევე, უახლოეს პერიოდში ვიზრუნებთ ცაგერის ცენტრალური სტადიონის რეაბილიტაციასა და მის თანამედროვე სტანდარტებით კეთილმოწყობაზე.

ცაგერის მუნიციპალიტეტის მაღალკვალიფიციურ გუნდთან ერთად, გაძლევთ გარანტიას, რომ სათანადოდ დავიცავ თქვენს ინტერესებსა და საკუთარ წვლილს შევიტან ჩემი მშობლიური მხარის განვითარებაში.

## „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბი ყველა ამომრჩეველს და საჯარო მოსამსახურეს მოუწოდებს, კენჭისყრის დღემდე და კენჭისყრის დღეს დაიცვან ქცევის შემდეგი წესები:



- დაუშვებელია საჯარო მოსამსახურეების, საჯარო სკოლების პედაგოგების, აგრეთვე სსიპ-ებისა და სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების თანამშრომლების საარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა სამუშაო საათებში ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მათ შორის სოციალურ ქსელებში პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის გზით;



- დაუშვებელია სახელმწიფო და მუნიციპალური თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;



- დაუშვებელია ამომრჩევლისთვის რაიმე მატერიალური ან არამატერიალური სარგებლის გადაცემა ან შესაბამისი დაპირების გაცემა ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;



- დაუშვებელია ამომრჩევლის იძულება, სხვა პირს გაუმჟღავნოს საკუთარი არჩევანი, მათ შორის საარჩევნო ბიულეტენის ფოტოგადაღების ან საარჩევნო კაბინიდან გამოსვლის შემდეგ ბიულეტენის საჯაროდ ჩვენების გზით;



- კენჭისყრის კაბინაში ფოტო და ვიდეოგადაღება, აგრეთვე შევსებული საარჩევნო ბიულეტენის სხვა პირთათვის ჩვენება დაუშვებელია;



- დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა ამომრჩევლის ნაცვლად, აგრეთვე საარჩევნო ბიულეტენის შევსება სხვა პირის თანდასწრებით;




- კენჭისყრის შენობაში კენჭისყრის დღის 8 საათიდან 20 საათამდე აკრძალულია საარჩევნო აგიტაცია;




- მოვუწოდებთ ყველა პარტიის აქტივისტს, მხარდამჭერსა და ამომრჩეველს, თავი შეიკავონ საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე დაყოვნებისგან;




- აკრძალულია კენჭისყრის შენობაში ან კენჭისყრის შენობის მიმდებარედ ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება.